# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 ივლისი, 2009 წელი.

№ 136 (6237)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## საქართველო გაუძლებს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის „გადატვირთვის“ სიმძიმეს?



**აშშ-ს პრეზიდენტი ბარაქ ობამა გუშინ მოსკოვში ჩაფრინდა.**

პრეზიდენტის თვითმფრინავი მოსკოვში, სამთავრობო აეროპორტში „ვნუკოვო-2“ დაეშვა.

ბარაქ ობამას სამუშაო პროგრამა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინის მიტანით დაიწყო. ამის შემდეგ კი პრეზიდენტებს შორის მოლაპარაკება გაიმართა.

მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოეწერება დოკუმენტებს, მათ შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების, ავღანეთის, სამხედრო, ბირთვული, ენერგეტიკის და ჯანდაცვის სფეროებში.

გუშინვე პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

დღის მეორე ნახევარში რუსეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში ობამასა და მისი მეუღლის პატივსაცემად არაფორმალური სადილი გაიმართა.

დღეს ობამა ვლადიმერ პუტინს შეხვდება.

ბარაქ ობამას ვიზიტი რუსეთში 8 ივლისამდე გაგრძელდება. რუსეთის დედაქალაქში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული.

*დაწვრილებით ხვალის ნომერში მოგითხრობთ.*



## პრობლემათა პრობლემის გადაწყვეტის მოლოდინში

9

## კრემლი, თეთრი სახლი... და მომლოდინე ავლაბრის სასახლე

2

## დაგმეს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის რეანიმაციის ცდა

2

ვინ უშველის საქართველოს?



გუგული მაღრაძე:

## „ვარდების რევოლუციის“ ტიპის ცვლილებები შედეგს ვეღარ გამოიღებს

3





8

## საქართველო – მის სულში და მოსკოვის ტვირთი – მის მხრებზე

მიხეილ ჭუმბურიძე:

## „სიამოვნებით ვიმეგობრებდი ვანო მერაბიშვილთან....“



5



7

## რა ხდება „მზიურში“?

## როგორ იხსნება კვანძები?



დედაქალაქის პრობლემები

## ლეიბორისტები

ბარაკ ობამას ვიზიტი რუსეთში უკვე კვირაზე მეტია საინფორმაციო საშუალებების „ტოპ-ნიუსებიდან“ არ ჩამოდის. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მედვედევ-პუტინთან შეხვედრა კიდევ უფრო მეტ ხანს დარჩება საზოგადოების ინტერესის წამყვან თემად. არ არსებობს პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი თუ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი, შეხვედრის შესახებ საკუთარ შეხედულებებს რომ არ გამოთქვამდეს.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმაც ვალდებულად და აუცილებლობად მიიჩნია ობამას მოსკოვში ჩაფრენამდე ერთი საათით ადრე საკუთარი აზრი ღიად და საჯაროდ გამოეთქვა, რათა ორი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურისთვის საკუთარი ხმა მიეწვდინა, ვინ მოუსმენს და გაიზიარებს ნათელაშვილის შეხედულებებს, ეს უკვე ლეიბორისტის პრობლემა არ არის, მთავარია, ღიად და თანაც ხმამაღლა ითქვას.

„რუსეთ-ამერიკის სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრის წინ თავს უფლებას ვაძლევთ, მთელი მსოფლიოს გასაგონად, კიდევ ერთხელ ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ განვლილი ოცწლეულში საქართველოს თავს დატეხილი ყველა ტრაგედია, ყველა უბედურება: სამოქალაქო ომები, კონფლიქტები, არჩევნების მასობრივი გაყალბება, ტერიტორიების ოკუპაცია და სხვა ძირითადად გამოიწვია რუსეთსა და ამერიკას შორის ბრძოლამ ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ბატონობისთვის. ჩვენი მიზანია, გამთლიანებული საქართველო გადაიქცეს ამ ორი ზესახელმწიფოსთვის თანამშრომლობისა და მეგობრობის არეალად. ამიტომ ჩვენ უნდა მოგვეცეს უფლება, თვითონ ავირჩიოთ და გადავაყენოთ საკუთარი მთავრობები ყოველგვარი უცხოური კოლონიური რეკომენდაციებისა და მოქმედებების გარეშე. კიდევ ერთხელ ვთხოვთ ორივე პრეზიდენტს გაითვალისწინონ ჩვენი ერის ორგანული უფლება, თვითონ იყოს საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონი, რაც ჩვენ მრავალათასწლიანი არსებობითა და ისტორიით დავიმსახურეთ“, – ასეთი მკაფიო და პრინციპული იყო შალვა ნათელაშვილი, რომელმაც ამჯერად მოკლე ტექსტური შეტყობინება აამჯობინა, თუმცა კი ობამა ამ დროს ჯერ კიდევ ჰაერში იყო, ხოლო მედვედევი სტუმართან დასახვედრად ემზადებოდა და ფაციფუცობდა.

ბატონ შალვას გრძელსიტყვაობით განებივრებულებს ნამდვილად დაგვრჩა უკმარისობის გრძნობა, ამიტომაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ ლეიბორისტების ლიდერს.

# რა „მესიჯი“ გაუგზავნა ნათელაშვილმა ზესახელმწიფოთა ლიდერებს?

**– რას უნდა ელოდოს საქართველო ამ შეხვედრიდან?**

– ერთადერთ დადებითს, თუ ამას მოინდომებენ ზემოთ ხსენებულ სახელმწიფოთა მეთაურები: – ჩვენს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. უნდა მოხდეს ჩვენი დეოკუპაცია უცხოეთის ჯარებისგან და უცხოელი პოლიტიკური მრჩევლებისაგან. რომელიც ყველაფერს წყვეტენ ოკუპირებული ტერიტორიების აქეთ, ან იქით. სჯობს გლობალურ პრობლემებს მიხედონ, და რაც მთავარია, ამ ორმა ზესახელმწიფომ მიაღწიოს სიტყვიერ თუ დოკუმენტურ შეთანხმებებს, რომ არ შეათრევენ საქართველოს თავიანთ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებში.



**– ბატონო შალვა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ ორი სახელმწიფოს ჩაურევლად რამდენად შესაძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

– ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება მშვიდობიანად შევცვალოთ ხელისუფლება, ავირჩიოთ ახალი ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე. როგორ გგონიათ, აქამდე სააკაშვილი არ წავიდოდა, მის დამსმელებს რომ ეთქვათ, დაწერე განცხადება და წადიო?! არ ეუბნებიან, შემცვლელს ეძებენ, რომელიც მისნაირი ან უარესი იქნება. მაგრამ სანამ ეს ზესახელმწიფოები ეცდებიან მარიონეტული მთავრობა დასვან საქართველოში, ყოველთვის ექნებათ თავისი ტკივილები, კონფლიქტები და მოუგვარებელი პრობლემები.

თუკი მოგვცემენ საშუალებას, ჩვენ თვითონ ავირჩიოთ ხელისუფლება, ის არ შევა კონფრონტაციაში არც ამერიკასთან, არც რუსეთთან. სანამ ან ერთი, ან მეორე აქ დანიშნავს საკუთარ მთავრობებს და ის მთავრობა მერე სააკაშვილის ხელისუფლებასავით გაიჭყლიტება გეოპოლიტიკურ ტყუილებში და დაპირებებში, მანამდე ყოველთვის ჩამოგვეჭრება ტერიტორიის „მსუყე“ ნაჭრები. აი ამაზე ვსაუბრობთ ჩვენ და არა იმაზე, რომ არ გვინდა რუსეთი, ან ამერიკა. ჩვენ უნდა გვქონდეს „პროქართული“ საგარეო პოლიტიკა, რაშიც არ იგულისხმება ის, რომ ჩვენ ვიქნებით ან ანტირუსული, ან ანტიამერიკული, მაგრამ სანამ გვექნება პრორუსული და პროამერიკული პოლიტიკა, ჩვენს თავზე ყოველთვის უბედურების ცეცხლი იგიზგიზებს.

**– და მაინც, რას ელოდებით ობამა-მედვედევის შეხვედრიდან?**

– არაფერს... ჩვენთვის სასარგებლოს არაფერს. მაგრამ იქნებ ამ განცხადებამ გამომაფხიზლებელი გავლენა მოახდინოს იმ ანალიტიკოსებზე და დიპლომატებზე, რომლებიც ამზადებენ ამ შეხვედრის დოკუმენტებსა და პროექტებს და კულისებში წყვეტენ ბევრ რამეს. ბუშისთვის თავის დროზე რომ გზა გადაეკეტა მოსახლეობას, დღეს არც კოსოვო იქნებოდა დამოუკიდებელი, არც აფხაზეთი და ოსეთი.

**– თუ შეუერთდებით ოპოზიციის დაგეგმილ აქციას, რომელიც ბაიდენის ჩამოსვლასთან დაკავშირებით იგეგმება?**

– ჩვენ თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტს ბუშს მოვუწყვეთ მიტინგი-დემონსტრაცია და ახლა ვიცე-პრეზიდენტის საკითხი ჩვენი კოლეგებისთვის გადაგვიბარებია.

**– ე. ი. არ უერთდებით?**

– ჩვენ არაფერს არ ვუერთდებით. პირიქით, აქეთ შემოგვიერთდა ოპოზიციური სპექტრი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ დროს გვერდს უმშვენებდნენ სააკაშვილს. მაშინ არ დაგვიჯერეს, ახლა კი ჩვენს პლატფორმა-იდეოლოგიაზე გადმოვიდნენ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

Georgian National Ideology Party

# ვინ უშველის საქართველოს?

## დაგმეს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის რეანიმაციის ცდა

**თბილისში, გამარჯვების პარკში, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიამ ჩაატარა პოლიტიკური აქცია, რომელიც მიეძღვნა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის რეანიმაციის ცდას და ამ ფონზე საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. აქციაზე გამოიტანეს ლოზუნგები რიბენტროპ-მოლოტოვის სამარცხვინო პაქტის რეანიმაციის წინააღმდეგ.**

აქციაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის ლიდერი, ფილოსოფიის პროფესორი ზურაბ გაგნიძე, რომელმაც ეროვნული იდეოლოგიის პარტიის სახელით დაგმო რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის რეანიმაციის ცდა, რაც შესაძლოა განხორციელდეს ბარაქ ჰუსეინ ობამასა და მედვედევის შეხვედრის დროს.

პოლიტიკურმა აქციამ მიიღო საერთაშორისო მემორანდუმი, რომელშიც გამოყოფილია სამი მიმართულება:

1. არ უნდა დავუშვათ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის რეანიმაცია, რადგან ეს უაღრესად საშიშია მთელი მსოფლიოსთვის და ამავე დროს საქართველოსთვის! თავის დროზე ჩვენმა მამებმა და პაპებმა გმირულად დაიცვეს ჩვენი სამშობლო ფაშიზმისგან და საკუთრივ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის შედეგებისგან. ეს პაქტი არ უნდა განმეორდეს! მედვედევ-ობამას შეხვედრაზე არის საშიშროება, რომ ორმა ლიდერმა ხელახლა გადაინაწილონ მსოფლიო და მათ შორის კავკასია! და ეს ხდება რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის სამოცდამეათე წლისთავზე! ყოველივე ამას პროტესტს ვუცხადებთ.

2. ჩვენი აზრით, არის საშიშროება, რომ ისლამურმა, სოროსულმა და რუსულმა ველიკოდერჟავულმა ფუნდამენტალიზმმა საქართველო სამ ნაწილად დაყონ და გადაინაწილონ. ეს ყოვლად დაუშვებელია!

3. საქართველოს პოლიტიკური ხსნის ერთ-ერთი რეალური ლიდერის ალექსანდრე ებრალიძის პრეზიდენტად წამოყენებას წინ აღუდგა როგორც სოროსული პოზიცია, ისე სოროსული ოპოზიცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ეტაპზე მისი დანიშვნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, რათა მან წარმატებით განახორციელოს საინვესტიციო პაკეტების მთელი სისტემა. ამავე დროს ამით მშვიდობიანად და თანდათან განხორციელდება ხელისუფლების ცვლა.

**ზურაბ გაგნიძე,**
**პარტიის თავმჯდომარე**
**5/VII –09 წ.**

## დროის სარკეში

# კრემლი, თეთრი სახლი... და მომლოდინე ავლაბრის სასახლე

**ამ დღეებში მთელი მსოფლიოს ყურადღება კრემლისკენაა მიპყრობილი – გუშინ იქ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა დაიწყო.**

ჩვენც ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენით დავიწყოთ. მით უფრო, რომ ბარაქ ობამას და დიმიტრი მედვედევის მოლაპარაკებაზე, თუ მთლიანად საქართველოს ბედ-იღბალი არა, საქართველოს ხელისუფლების ყოფნა-არყოფნა მაინც ჰკიდია.

მართალია, ჩვენი პრეზიდენტი და მთლიანად ხელისუფლება ამას არ იმჩნევს (საქართველო ხომ ფორმალურად დამოუკიდებელი, სუვერენული, მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა!), მაგრამ არც მე მგონია და თქვენც ნუ დაიჯერებთ, რომ სააკაშვილის „ჩემს გუნდს“ მშვიდად ეძინოს.

კრემლის ისტორიულ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის დამწყებ პრეზიდენტს (აი, რუსულ სალდათურ ჟარგონზე ზელიონნი რომ ჰქვიაძ უკვე გამოცდილ-გამოჯეგილმა (იმავე ჟარგონით – სტარიკმაძ ქართველმა კოლეგამ რჩევა-დარიგებებიც არ დაამადლა: ემანდ, ფრთხილად იყავი, ენას კბილი დააჭირე, სათქმელი კარგად აწონ-დაწონე, ემანდ შენი ერთი გადაბრუნებული სიტყვით, რუსეთის არმიები საქართველოში არ შემოაგლიჯინოო.

იმედია, ბატონი ობამა გაითვალისწინებს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავლისმნახველი ქართველი კოლეგის დარიგებას, დაუკრეფავში არ გადავა და... საქართველოც გაბრწყინდება.

იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ თეთრი სახლის ძალზე მოუცლელი პატრონი სააკაშვილის უკლებლივ ყველა გამოსვლას და, საერთოდ, მის ლოგიკას არ იცნობს. ბატონი პრეზიდენტის ლოგიკა კი ასეთია: რუსეთი საქართველოს დაუძინებელი მტერია. საქართველოს მტერია ყველა, ვინც მედვედევ-პუტინის დუეტს და კრემლის სხვა ანტიქართულად განწყობილ რეაქციონერს დაელაპარაკება. კრემლთან სალაპარაკოდ, მარტო სალაპარაკოდ კი არა, კრემლთან მეგობრული კავშირების გასაბმელად ობამა ოკეანის გაღმიდან მოსკოვში ჩადის. აქედან გამომდინარე, ამერიკის პრეზიდენტი მუჰამედ ბარაქ ობამა საქართველოს მოსისხლე მტერია!

საქართველოსი რა გითხრათ, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტისადმი არცთუ მეგობრულად განწყობილი მედვედევი, სავარაუდოდ, ობამასთან სააკაშვილის და მისი „ჩემი გუდის“ უსაქციელობაზე საწუწუნოდ ვერ მოიცლის – ორი ზესახელმწიფოს მეთაურს ერთმანეთში ისედაც ბევრი რამ ექნებათ გასარკვევი. ეს ჩვენს ყმაწვილ მამაც ნაცებს ეპატარავებათ თვალში მედვედევიც და პუტინიც, თორემ ბარაქ ობამამ და დანარჩენმა პოლიტიკოსებმა შესანიშნავად იციან, რას ნიშნავს რუსეთი დღევანდელი კაცობრიობისთვის.

ვფიქრობ, ისიც იციან, რომ სადღაც სამხრეთ კავკასიაში „უპატრონოდ მიგდებული ტერიტორიის“ (საქართველოსძ გულისთვის რუსეთი და აშშ ერთმანეთში ომს არ წამოიწყებენ. ბატონმა ობამამ თქვა კიდეც, კაცობრიობის წინაშე ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ჩვენ, ამერიკას და რუსეთს გვეკისრებაო. დიპლომატიის ენაზე ეს ნიშნავს, მოდი, ჯერჯერობით მაინც, მთელი პლანეტა მე და შენ, რუსმა და ამერიკელმა ერთობლივად ვაკონტროლოთო. აზრი არა აქვს იმის მტკიცებას, არიან თუ არა რუსი და ამერიკელი დიპლომატები გულწრფელები. გულწრფელობით ისინი კი არა, საქართველოს პარლამენტის უცნობი უმრავლესობაც ვერ დაიკვეხნის, ანუ, ამ მხრივ, ჩვენი შესაძლებლობები რუსებთან და ამერიკელებთან თანაბარია.

* * *

სამაგიეროდ, კატასტროფული უპირატესობა გვაქვს უჭკუობაში.

კიდევ კაი, ამას ჩვენი უცხოელი „მეგობრებიც“ ხედავენ და ზედიზედ გვიგზავნიან კომისიებს რომელიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესამუშავებლად.

გასულ კვირაში საქართველოში მუშაობა დაიწყო ეგრეთ წოდებულმა „ვენეციის კომისიამ“, რომელმაც საარჩევნო კანონი უნდა შეგვიქმნას. კანონების შექმნა, ჩვენ რომ ვიცით, იმისთანა უნდა, მაგრამ ჩვენ, ეტყობა, არ შეგვიძლია შევქმნათ საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების გამომხატველი კანონი. ამიტომაც ვქმნით „მრგვალ მაგიდაზე“, „მოქალაქეთა კავშირზე“, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ და, ბოლოს, მიხეილ სააკაშვილზე მორგებულ კანონებს. მათ რიგშია მრავალჯერ ნაგვემი ქართული კონსტიტუციაც. გასულ კვირაში ავთანდილ დემეტრაშვილის კომისია აგრძელებდა ინტენსიურ (სავარაუდოდ, დიდად ნაყოფიერსაც!ძ მუშაობას ჩვენი მრავალჯერ საჯაროდ გაუპატიურებული მთავარი კანონისთვის ქალწულებრივი უმანკოების აღსადგენად. სპეციალისტების აზრით, ასეთი კოსმეტიკური ოპერაციები ამ სახელგატეხილ დოკუმენტს ვერც ღირსებას შემატებს და ვერც სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს, მაგრამ მთავარი სხვა რამეა – პრეზიდენტი მიშა და მისი „ჩემი გუნდი“ მუშაობს!

* * *

ბოლოსდაბოლოს, ხელისუფლების უპირველესი საგარეო მტრის (რუსეთიძ კვალდაკვალ, ნანატრი №1 საშინაო მტერიც გამოიკვეთა – ნინო ბურჯანაძე!

გასულ კვირაში სახელისუფლო ანტიბურჯანაძული პროპაგანდა განსაკუთრებით გამძაფრდა. სააკაშვილის მოქმედება სავსებით გასაგებია – ოპოზიციაში გადაბარგებული მისი ყოფილი თანამებრძოლებიდან ნინო ბურჯანაძე მართლაც ყველაზე საშიშია. იგი, ნუ ეწყინება სხვა ოპოზიციონერებს, ყველაზე ნიჭიერი, ჭკვიანი, მამაცი, შეუპოვარი, და ყველაზე გამჭრიახი აღმოჩნდა.

გაუგებარია სააკაშვილის მოქმედების სტილი, კერძოდ, პიროვნების დისკრედიტაციისკენ მიმართული ღონისძიებები: ბურჯანაძე ყიდულობს იარაღს, ბურჯანაძე მფარველობს კრიმინალებს, ბურჯანაძე იპარავს ქვეყნის ქონებას და, რაც მთავარია, ბურჯანაძე თანამშრომლობს საქართველოს მტრებთან! ამ „მტრებში“ ამჯერად ოდესღაც ჩვენი დიდი მეგობრის, უკრაინის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეებიც აღმოჩნდნენ. თავად ქალბატონი ნინო ამ, უკაცრავად პასუხია და, ბოდვით ბრალდებებს მომაკვდინებელი ირონიით იგერიებს. საბოლოოდ, მის მიმართ ხელისუფლების უმძიმესი ბრალდებები სასაცილოდ გამოიყურება და, რაც მთავარია, რეალურად ხელს უწყობს ბურჯანაძის და მისი პარტიის ავტორიტეტის ზრდას. რომ არა სააკაშვილის გუნდის უცნაური შიშნარევი ანტიპროპაგადა, ნინო ბურჯანაძე ასე მოკლე დროში ამდენ მომხრეს ვერ შეიძენდა. როგორც ჩანს, ხელისუფლების არსენალში ორიგინალური აღარაფერი დარჩა – ისევ შიშველი განცხადებები, ისევ „მტრები“, ყოვლად უნიჭო „საიდუმლო ჩანაწერები“ და ე. წ. სახელისუფლებო „სახეების“ კიდევ უფრო უნიჭო განცხადებები.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო კვირის რაუნდი „სახელისუფლო გუნდმა“ ნინო ბურჯანაძესთან პირწმინდად წააგო. იმიტომ კი არ წააგო, რომ ბურჯანაძე ურტყამდა ზუსტად მიზანში, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლება იქნევდა ხელებს უაზროდ.

ვფიქრობ, სწორედ ჩვენი ხელისუფლების არაადეკვატურობამ (ამ ბოლო დროს ხელისუფლების დახასიათებისას ეს ტერმინი ძალიან ხშირად გაისმისძ წააქეზა რუსეთში მცხოვრები ჩვენი დიასპორა, შექმნა ახალი პოლიტიკური პარტია. ასპარეზზე გამოჩნდენ ძასოხოვი, მელაძე, კობზონი და სხვები. ძნელი სათქმელია, რომ მოიმოქმედებს ემიგრანტული ორგანიზაცია, მაგრამ მათ, როგორც თავად განაცხადეს, აქვთ ფული, აქვთ ხელისუფლებაში მისვლის სურვილი და, როგორც ბატონი სააკაშვილი ბრძანებს, აქვთ მხარდაჭერა კრემლიდან. მართალია, ჩვენ, უმამაცეს ქართველებს ეს არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ თვით თეთრი სახლიც კი კრემლის შესაძლებლობებს რეალურად აფასებს და მასთან დამეგობრებას ცდილობს.

ობამა-მედვედევის მოლაპარაკებები დაიწყო. ვნახოთ, რას მოილაპარაკებენ უფროსები. იქნებ, ღმერთმა ინებოს და, ჩვენი პრეზიდენტის „მითითებებმა“ ობამამდე არ მიაღწიოს.

**თეიმურაზ ქორიძე**

№ 136. სამშაბათი, 7 ივლისი, 2009 წელი.

პოლიტიკური ლაბირინთი

# შენელებული პარტნიორობა და რუსული რებუსი – „გათიშე და იბატონე“

**შვედეთი ევროკავშირის თავმჯდომარეობას ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით იწყებს. საკუთარი, 6-თვიანი თავმჯდომარეობის პირობებში ის მნიშვნელოვნად შეეცდება განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისკენ მიმართულ ღონისძიებებს და კლიმატის გაჯანსაღებას.**

პარალელურად შვედი მაღალჩინოსნები იმედოვნებენ, რომ არ აღმოჩნდებიან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის განმეორებითი აგრესიის ფაქტის წინაშე.

შვედი ჩინოვნიკები კონფიდენციალურად აღიარებენ, რომ რუსეთი შეეცდება მკაცრად მოიქცეს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – პატარა სკანდინავიური სახელმწიფოს მიმართ და არა მხოლოდ საქართველოს საკითხის კონტექსტში. ბრიუსელში აცხადებენ, რომ რუსეთი ემზადება უკრაინასთან გაზის ახალი სკანდალის მოსაწყობად, რამაც, შესაძლოა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნახევარზე მეტს, რომლებიც რუსულ გაზზე არიან დამოკიდებული, სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

სტოკჰოლმში იმასაც ამბობენ, რომ რუსეთის პოლიტიკა „გათიშე და იბატონე“, თვალშისაცემია, რადგან ნებისმიერი კრიზისული ვითარების პერიოდში მოსკოვი ცდილობს, ორმხრივი არხების მეშვეობით კომუნიკაციის დამყარებას ბერლინთან, პარიზთან და ევროკავშირის სხვა წევრებთან, რამაც შესაძლებელია, გარკვეული ნეგატიური როლი ითამაშოს შვედეთის ძალისხმევაში, წარმოაჩინოს ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკა.

ამასთან, დიპლომატები იმასაც აღნიშნავენ, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის იმ პოზიციას, რომელიც მან 2008 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ დააფიქსირა, მოსკოვი მარტივად არ დაივიწყებს, რამაც შესაძლოა, რუსეთისა და შვედეთის ურთიერთობაში ასახვა უარყოფითი კუთხით ჰპოვოს.

**გასულ წელს, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია კარლ ბილდტმა ადოლფ ჰიტლერის ქმედებას შეადარა, რომელიც თავის დროზე ამ უკანასკნელმა პატარა პოლონეთისა და ჩეხეთის წინააღმდეგ განახორციელა.**



**პარალელურად ევროკავშირის ე.წ. ტროიკა 14 ივლისიდან სამხრეთ კავკასიაში ტურნეს დასაწყებად ემზადება.**

სამეულის შემადგენლობაში შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი, ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა-ფერერო ვალდნერი იქნებიან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციას სამეულის საქართველოში ვიზიტის შესახებ არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

შვედეთი ათვითცნობიერებს იმ ახალ რეალობებს, რომელიც ეკონომიკური კრიზისისა თუ სხვა გარე საფრთხეებიდან მომდინარეობს და შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე ანელებს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის განხორციელებას. რასაკვირველია, უმთავრეს პრიორიტეტებში შვედეთის მიერ კლიმატის გაჯანსაღებისთვის ზრუნვის დეკლარირება შესაძლოა საქართველოდან ჩანდეს აბსურდულ და არაფრისმომცემ თემად, მაგრამ ევროპელებისა და განსაკუთრებით სკანდინავიური ქვეყნების წარმომადგენლებისთვის კლიმატი მნიშვნელოვანი საკითხია. შესაბამისად აქცენტები დროებით, მაგრამ მაინც იცვლება.

საერთაშორისო საკითხებში ექსპერტ **კახა გოგოლაშვილის** შეფასებით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის განხორციელების ტემპის შენელება ყველაზე დიდ გავლენას საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კუთხით მოახდენს.

„ეს პოლიტიკური პროექტია და პროგრამის განხორციელების ტემპის შენელება ბუნებრივია, მოახდენს გავლენას ევროკავშირთან ჩვენს დაახლოებაზე. რაც შეეხება იმ პროექტებს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკასთან არის კავშირში, ისინი აუცილებლად განხორციელდება, უბრალოდ პროცესი ნელი ტემპით წავა“, – **განუცხადა გოგოლაშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“,** რომლის განმარტებითაც, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის განხორციელება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთლიანად კი არ შეჩერდება, არამედ იმ ამბიციური ტემპით, როგორიც დაგეგმილი იყო, აღარ მოხდება.

გოგოლაშვილი განმარტავს, რომ ტემპი შენელებული იქნება მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა შვედეთი იქნება.

„პროგრამის განხორციელების ამბიციური ტემპის შენელება ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა. ახალ პროგრამას ახალი დაფინანსება სჭირდება. შვედეთის პრეზიდენტმა კი, ევროკავშირის დღის წესრიგში ორი ძირითადი პრიორიტეტი წარადგინა – კრიზისის დაძლევა და გლობალურად ბრძოლა კლიმატის პირობებთან“, – განმარტავს ექსპერტი.

ამის მიუხედავად ევროკავშირის შეშფოთებას იწვევს, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიების საქმიანობის შეწყვეტა და რუსეთის რადიკალურად უარყოფითი პოზიცია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის როლისა და ფუნქციის, ასევე სადამკვირვებლო ტერიტორიის არეალის შესახებ.

ამდენად, ევროპელი დიპლომატების ინტერესი სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების შენარჩუნების მხრივ აბსოლუტურად ლოგიკურია.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის ინტერესებში შედის ყარაბახის დარეგულირების საკითხიც, რომელთან დაკავშირებითაც მედვედევ-ალიევის ბაქოში გამართულ შეხვედრაზე გარკვეული პოზიტიური სიგნალები დაფიქსირდა. თუმცა ევროპელი დიპლომატებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთის „პოზიტიური ძალისხმევა“ მყისიერად შეიძლება შეიცვალოს ნეგატიური მიმართულებითაც.

შესაბამისად, შვედეთისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელებისკენ მიმართული მენტალიტეტი ბევრადაა დამოკიდებული იმ პოლიტიკურ კლიმატზე, რომელსაც მას სამხრეთ კავკასიაში, უკრაინასა და სხვა ნებისმიერ ადგილას მოსკოვი დაახვედრებს.

იგივე კარლ ბილდტი და შვედეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მოსკოვში გულზე დიდად არ ეხატებათ. თუმცა ამ ეტაპზე კრემლისთვის აშკარად საამურია შენელებული ანუ შეჩერებული პარტნიორობა „აღმოსავლეთთან“ – იმ ქვეყნებთან, რომელსაც რუსეთში ჯერაც საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს.

**როგორ ამოხსნის შვედეთი რუსულ რებუსს – „გათიშე და იბატონე“ და არა მხოლოდ მას, ამას დრო გვაჩვენებს.**

გოჩა მირცხულავა

ბრძოლა გრძელდება

# გუგული მაღრაძე: „ვარდების რევოლუციის“ ტიპის ცვლილებები შედეგს ვეღარ გამოიღებს



***მთავრობის მიმართ საზოგადოების საპროტესტო მუხტი იკლებს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მორიგი მარცხისთვის არის განწირული. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ მათ გაწერილი გეგმა აქვთ და ადრე თუ გვიან მიზანს მიაღწევენ, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ დრო მოიგო და პოზიციების გასამყარებლად გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა.***

***„ქალთა პარტიის“ ლიდერი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკური აქტივობა სავარაუდოდ, შემოდგომაზე გაიზრდება და ოპოზიცია კონკრეტულ შედეგებს მიაღწევს, ხელისუფლებას კი სერიოზულ დათმობებზე წასვლა მოუწევს.***

**– საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი შემცირებულია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან პოლიტიკური ბრძოლა უკვე მეორედ წააგო?**

– პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმას, ოპოზიციამ წააგო თუ ხელისუფლებამ მოიგო. არავინ არ წააგო და არავინ არ მოიგო. საპროტესტო მუხტი დარჩა ხალხში და არაფერი გაუკეთებია ხელისუფლებას, რომ იგი ჩამქრალიყო. საპროტესტო მუხტი არსებობს და ვინც მოინდომებს გამოყენებას, დღევანდელი თუ ხვალინდელი ოპოზიცია, ეს მუხტი ყოველთვის გაღაიზრდება ისეთ ძმელებებში, რაც ხელისუფლებას ისევ დააყენებს იმ რეალობის წინაშე, რომ ქვეყანაში არის მოუგვარებელი პრობლემები. ასე რომ, ზაფხულია და 100 კაცი მოვა თუ 200, ოპოზიცია ერთად არის, თუ ცალ-ცალკე, ეს პრინციპულ გავლენას არ ახდენს საპროტესტო მუხტის დაწევაზე. საპროტესტო მუხტის დაწევაზე გავლენას მოახდენდა ხელისუფლების მიერ ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც ადამიანებში ამ პროტესტს შეამცირებდა.

ოპოზიციის პირველი მცდელობა იყო, დიდი საპროტესტო აქციებით შეერყია ხელისუფლების საფუძვლები და თუ შესაძლებელი იყო, მოეხერხებინა ხელისუფლების გადადგომა. მე, მაგალითად და ბევრი ჩემთან ერთად, ვფიქრობდით, რომ ეს საპროტესტო აქციები ამას ვერ მოახერხებდა, მაგრამ მაინც გააკეთა ამ საპროტესტო აქციებმა ის, რაც გააკეთა – ხელისუფლებას საფუძვლები მართლა ძალიან შერყეული აქვს, უკვე ერთდღიან, ორდღიან „პიარებზე“ ფიქრობს, ცდილობს, რაღაცნაირად გადალახოს ეს წინააღმდეგობა და ახალ კანონებზედაც მუშაობს ოპოზიციის საწინააღმდეგოდ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ოპოზიციის საპროტესტო აქციებმა თავისი შედეგი გამოიღო. საერთოდ, ხელისუფლების შეცვლისათვის ბრძოლა მშვიდობიანი მეთოდებით არ არის არც ერთდღიანი, არც სამდღიანი და არც 6-თვიანი პროცესი. ეს არის ხანგრძლივი ბრძოლა და ამის მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ წავიდეს სააკაშვილი და მოვიდეს ვიღაცა, არამედ ის, რომ რადგან ამდენს ვიბრძვით, ძირეული ცვლილებები უნდა მოხდეს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, რომ აბსოლუტურად გამორიცხული იყოს საქართველოში რეციდივი იმისა, რომ ასეთი ტიპის ხელისუფლება კიდევ შეიძლება წარმოიშვას.

რაკი ამდენად გაწვალდა ხალხი, ეს არ უნდა იყოს მარტო იმისთვის, რომ რაღაც ჩანაცვლება მოხდეს. ეს უნდა იყოს იმისთვის, რომ ქვეყანაში რეალურად დაიწყოს ისეთი სახელმწიფოს ფორმირება, რომელსაც აღარ ექნება უკუქცევა ანტიდემოკრატიულობისკენ. ეს უნდა იყოს შეუქცევადი პროცესი, რომ საქართველო გახდეს ნამდვილად დემოკრატიული ქვეყანა. ასეთი ბრძოლა მოიცავს საპროტესტო აქციებსაც, უცხოეთთან მუშაობასაც, ხელისუფლების გაკრიტიკებასაც, მასთან ერთობლივად რაღაცის გაკეთებასაც. ასე რომ, ეს არის რთული პროცესი და მიმაჩნია, რომ საქართველოში ეს პროცესი მიმდინარეობს და გაგრძელდება, რადგან სხვანაირად ამ ქვეყანას პერსპექტივა არ აქვს. რაც მთავარია, ზუსტად ამ საპროტესტო აქციებმა გვაჩვენა, რომ მოსახლეობა გაცნობიერებულად ხედავს, რომ საქართველოში სიტუაცია უნდა შეიცვალოს.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია



### ხავიერ სოლანა პოსტს ტოვებს

**ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა თანამდებობის დატოვებას აპირებს. შესაბამისი განცხადება თავად სოლანამ გააკეთა.**

**მისი თქმით, იგი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ოქტომბერში დატოვებს.**

**– მე ჩემი ათწლიანი მანდატი ამ პოსტზე ამოვწურე და არ ვაპირებ მის გაგრძელებას, – განაცხადა სოლანამ.**

**სოლანამ ასევე გამორიცხა საკუთარ სამშობლოში – ესპანეთში აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებაც.**

**სოლანამ აღნიშნა, რომ გადადგომის შემდგომ იგი მსოფლიოში მოგზაურობით, ლექციების კითხვით, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობითა და საგანმანათლებლო ფონდებთან ურთოერთოებებით დაკავდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ექსკლუზივი

# დიტერ ბოდენი: პან გი მუნის ბოლო ანგარიში UNOMIG-ის მოღვაწეობის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების ასახვაა



***მას მერე, რაც შარშან, აგვისტოს ომის დროს, თუ შემდგომ პერიოდში, უშედეგოდ დამთავრდა გაეროში საქართველოს მაშინდელ და ახლანდელ ელჩთან ინტერვიუს აღების ჩემი არაერთი მცდელობა, ხოლო ამას წინათ ამერიკაში მყოფმა ირაკლი ალასანიამ ყოვლად უმიზეზოდ, განუმარტავად თავის მიერვე დროში შეთანხმებული ინტერვიუ არ მომცა, გადავწყვიტე საქართველოში UNOMIG-ის ყოფილ ხელმძღვანელს დიტერ ბოდენს გერმანიაში დავკავშირებოდი და საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის გაუქმებაზე კომენტარი მეთხოვა. გერმანელი ელჩი საქართველოში 1995-96 წლებში ეუთოს მისიაშიც მუშაობდა. ქართველი დიპლომატებისგან განსხვავებით, უცხოელი უფრო საჯარო, თავისივე სიტყვის პატრონი აღმოჩნდა და შეთანხმება არ დაურღვევია. დიტერ ბოდენი ამჟამად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს, ასწავლის პოტსდამის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. იგი გახლავთ ამერიკული ორგანიზაცია „ევრაზიის პარტნიორობის ფონდის“ გამგეობის წევრი. ამ სტრუქტურის მიზანია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. ამჟამად კი გერმანელი დიპლომატი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების საერთაშორისო კონფერენციას ამზადებს, რომელიც ა.წ. ოქტომბრის დასაწყისში ბერლინში გაიმართება.***

**— ბ-ნო დიტერ, როგორ აფასებთ საქართველოში UNOMIG-ის მუშაობას, რომელსაც თქვენ 1999-2002 წლებში ხელმძღვანელობდით?**

— მე ვფიქრობ, რომ 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში UNOMIG-მა კარგად იმუშავა: მან წარმატებით დაიცვა 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. იგი მუშაობდა ომის პრევენციის საკითხებსა და სხვადასხვა კრიზისული სიტუაციების მოსაგვარებლად. მე ვამაყობ, რომ ამ საქმეში გარკვეული როლი მიმიძღვის. ამავე დროს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მეტის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ სხვებიც იქნებოდნენ ჩვენს მხარეს. ამავე დროს UNOMIG-მა შეიტანა ღირებული წვლილი დეესკალაციის პროცესში. კერძოდ ე.წ. „კოდორის კრიზისში“, რომელიც 2001-2002 წლებში განვითარდა, როცა მე საქართველოში გახლდით.

**— თქვენი აზრით, გაეროს ამ მისიის შეწყვეტა საქართველოსთვის როგორი შედეგის მომტანი იქნება?**

— საქართველოში UNOMIG-ის მოქმედების შეწყვეტა გამოიწვევს დამღუპველ შედეგებს. ყველაზე ცუდი სცენარის თანახმად მოხდება რუსი და ქართული ჯარების კონფრონტაცია ინგურის საზღვრის გასწვრივ, მას მერე, რაც 30 აპრილის შეთანხმებით, აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის მანდატის ქვეშაა საზღვრის უსაფრთხოების კუთხით. ეს გამოიწვევს იმ ორი სახელმწიფოს კვლავ კონფლიქტში ჩართავს, რომლებსაც ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვთ. ვიმედოვნებ, რომ ეს ძალიან ცუდი სცენარი არ განხორციელდება.

**— ხომ ვერ გაიხსენებდით ისტორიას, თუ რა პრინციპით გადავიდა გაეროს პატრონაჟის ქვეშ აფხაზეთი, ხოლო ეუთოს — სამხრეთ ოსეთი?**

— ეს კითხვა შევარდნაძის მთავრობას უნდა დაუსვათ: ერთ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთი გადაეცა ეუთოს და, მეორეში, აფხაზეთი — გაეროს. მე არ ვიცი ამის მიზეზი. ეს კარგი თემაა გამოძიებისთვის. მე არ ვიცი, პოტენციური კვლევისთვის თუ რამდენადაა უკვე ღია ამ საქმესთან დაკავშირებული არქივები, მაგრამ ვისურვებდი, რომ ეს ასე იყოს.

**— საქართველოს პრეზიდენტმა კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა აგვისტოს ომის დროს UNOMIG-ის თანამშრომლების მიმართ...**

— მე ვიცი იმ კრიტიციზმის შესახებ, რომლის სამიზნე UNOMIG ყოველთვის იყო. თქვენმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამას წინათაც გაიმეორა: UNOMIG, როგორც უმთავრესად არაეფექტური, არაინიციატივიანი გაეროს სააგენტო, რომელიც სხვას არაფერს აკეთებს, იმის გარდა, რომ თავის თანამშრომლებს მაღალ ხელფასებს უხდის. მაგრამ UNOMIG სულაც არაა მოწოდებული იმისთვის, რომ ომში მონაწილეობა მიიღოს. ის, ვინც მეტის გაკეთებას ცდილობს სხვა დროს გაეროს მიმართოს და საჭირო ცვილელებები გაეროს მანდატში შეიტანოს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დასრულდა წარუმატებლად ამ კონფლიქტების დარეგულირების ყველა საერთაშორისო თუ ლოკალური მცდელობები, მათ შორის „ბოდენის გეგმაც“?**

— მიზეზი იყო ხელისუფლებაში მყოფთა პოლიტიკური ნების უკმარისობა. ჩვენ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისთვის მოვამზადეთ ყველა საჭირო ელემენტი, ამიტომ გავბედავ და ვიტყვი, რომ მე, ჩემის მხრივ, ჩემს თავზე მცდელობათა უმთავრეს ნაწილს ვიღებდი იმ „გეგმაში“, რომელსაც თქვენ ახსენებთ. მე კვლავ ვიმედოვნებ, რომ ეს მცდელობები ერთ დღეს შედეგს მოიტანს.

**— რა უნდა მოიმოქმედოს UNOMIG-ის მსგავსმა მისიამ ომის დროს, როცა „მისია შეუსრულებელია“?**

— მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო მისიებისთვის სამხედრო ესკალაციის პერიოდი სამოქმედოდ არის ძალიან მძიმე პერიოდი. ძირითადი პასუხისმგებლობა კი პოლიტიკოსებს ეკისრებათ.

**— ამ ყველაფერს დაემატა გაეროს გენმდივნის მოხსენებაში არსებული „ლაფსუსებით“ უკმაყოფილება...**

— პან გი მუნის ბოლო ანგარიში UNOMIG-ის მოღვაწეობის შესახებ არის გაეროს უშიშროების საბჭოში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების ასახვა. მე ყოველთვის მხარს ვუჭერდი „ტერიტორიულ მთლიანობას“. ეს არის საერთაშორისო კანონმდებლობის კარგად დამკვიდრებული პრინციპი. თუ უგულებელყოფ მას, მაშინ იქმნება პოლიტიკური ანარქიის დიდი რისკი, განსაკუთრებით კი ეს კავკასიისთვისაა საშიში.

**— გერმანიიდან საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობა როგორ ჩანს?**

— საქართველო სწორედ დღეს ვიდრე არასდროს არასტაბილურობისა და დაძაბულობის სახელმწიფოა. ეს კი მისი მეგობრებისა და მოყვრების წუხილის საგანია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი უნდა შევუერთდეთ დიდ ძალისხმევას, რათა საქართველო აყვავდეს. მას ხომ ყველა რესურსი აქვს ამისთვის. საქართველო უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი დანარჩენი სამყაროსთვის. ამისთვის იგი თანამიმდევრულად უნდა მიუდგეს შემდგომ დემოკრატიულ რეფორმებსა და კარგი მთავრობის ფორმირებას. ეს კი გახლავთ გასაღები იმ შიდა კონფლიქტების გადაწყვეტისა, რომელიც კვლავ რჩება საქართველოს ძირითად პრობლემად.

**ია მერკვილაძე,**
„სრ“ საკ. კორ.
ნიუ-იორკი-ბერლინი

ბრძოლა გრძელდება

# გუგული მაღრაძე: „ვარდების რევოლუციის“ ტიპის ცვლილებები შედეგს ვეღარ გამოიღებს

(მესამე გვერდიდან)

**— ოპოზიცია რადიკალურ მოქმედებებს არ მიმართავს. როგორ ფიქრობთ, ეს ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება, თუ სხვა ფაქტორებითაა გამოწვეული?**

— დაფინანსების პრობლემაც არის, რასაკვირველია, მაგრამ აქ უფრო მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებაა: ოპოზიციის უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნდა იყოს რადიკალური, ნაწილს მიაჩნია, რომ უნდა იყოს არარადიკალური. მარტო რადიკალიზმს დღევანდელ სიტუაციაში არ მივყავართ წარმატებისკენ, უნდა იყოს გამწვავება მაშინ, როცა საჭიროა გამწვავება, უნდა იყოს სხვა ტიპის საქმიანობა, თუ სხვა ტიპის საქმიანობაა საჭირო. რადიკალიზმი არ არის თვითმიზანი, რადიკალიზმი არის საშუალება და ის როცა საჭიროა, მაშინ უნდა გამოიყენო. ცხადია, დაფინანსება სჭირდება ყველაფერს, მაგრამ პრინციპული მნიშვნელობა ამას არ აქვს, რადგან დღეს იმდენად გაცნობიერებული აქვს საზოგადოებას, რომ ვარდების რევოლუციის ტიპის და უცხოეთიდან დიდი ფულით შემოსული 3-4-დღიანი მუშაობა, შედეგს ვეღარ გამოიღებს. განსხვავებით შევარდნაძის ხელისუფლებისგან, ეს ხელსიუფლება გამოცდილია იმაში, რას ნიშნავს მოამზადო გადატრიალება, იმიტომ რომ 2003 წლის ვარდების რევოლუცია ნამდვილად გადატრიალება იყო და ხელისუფლებამ იცის ეს მექანიზმი. ამიტომ ახლა ოპოზიციის მექანიზმი ისაა, რომ საზოგადოებას ამ რეჟიმთან შეგუება უკვე აღარ შეუძლია. რამდენად გონივრული გზით წაიყვანს საზოგადოებას ოპოზიცია და რამდენად დაიხევს უკან ხელისუფლება, ამას, ალბათ, შემოდგომაზე ვნახავთ, როდესაც პოლიტიკური პროცესები გააქტიურდება და ხელისუფლება იძულებული გახდება, ადეკვატური ზომები მიიღოს.



**— პარლამენტში განიხილება კანონპროექტები შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, ასევე კანონპროექტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ, რომლის საფუძველზედაც გარკვეული შეზღუდვები წესდება აქციების გამართვისას. როგორ ფიქრობთ, ამით ოპოზიციას ხომ არ მოეჭრება ქუჩაში ბრძოლის გზა?**

— ცხადია, პროცესები ცალმხრივი არ არის და ხელისუფლებაც მიმართავს ადეკვატურ მოქმედებებს. ხელისუფლება ამ კანონპროექტების მიღებით სწორედ იმას ცდილობს, რომ ოპოზიციას ქუჩაში ბრძოლის გზები მოეჭრას. აღნიშნულ კანონპროექტებში ცვლილებების შეტანა ამის მანიშნებელია. ხელისუფლება იყენებს თავის უმრავლესობას და არადემოკრატიულ კანონებს იღებს. სამართლიანობიდან კი არ გამოდის, ის იღებს ისეთ კანონებს, რომელიც სამართალთან არაფერ კავშირშია და ეს კანონები მანიპულაციისთვის სჭირდება.

**— საპროტესტო აქციების დასაწყისში აშკარა იყო, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდოდა, ახლა კი რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ პოზიციები გაიმყარა და ოპოზიცია იმ მინიმუმსაც ვეღარ მიიღებს, რისი მიღებაც დასაწყისისთვის შეიძლებოდა...**

— წინასწარ ძნელია ამის თქმა. დასაწყისშივე ვამბობდი, რომ თავიდან უნდა დაყენებულიყო ნაკლებრადიკალური მოთხოვნები, მაგრამ ჩაითვალა, რომ ასე ჯობია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებამ პოზიციები განიმტკიცა. ხელისუფლების ყველა ნაბიჯი მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ პოზიციები კი არ გაიმყარა, არამედ „პიარაქციებით“ და გარკვეული კანონების ამუშავებით ცდილობს, შექმნილ სიტუაციას თავი როგორმე დააღწიოს.

**— რამდენად მისაღებია თქვენთვის ოპოზიციის მიერ ბოლო დღეებში გამართული შეხვედრები, რამაც საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია?**

— ხელისუფლებას ხელს აძლევს ამ საკითხის გაბუქება. ეს ხელისუფლება რომ დადიოდა აქეთ-იქით და გამოუთხარეს ძირი შევარდნაძის მთავრობას, ამიტომ არიან ასე ჩასაფრებულები. ხელისუფლებას არ აქვს უფლება, დაადანაშაულოს რომელიმე მხარე, როცა მას არ აქვს დამამტკიცებელი საბუთები. თუ ხელისუფლებას ექნებოდა იმის მტკიცებულებები, რომ ოპოზიციამ რუსეთიდან წამოსული ფული დახარჯა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ოპოზიციის დადანაშაულება. რაიმე შეხვედრაზე ბრალდების აგება, ეს არის კიდევ ერთი მცდელობა ხელისუფლების მხრიდან, რომ ამ ფაქტით რაღაც მნიშვნელოვანი საკითხი გადაფაროს და კიდევ ერთი „პიარკამპანია“ წარმართოს. ხელისუფლებას როგორ შეუძლია ბრალდება წამოაყენოს, როცა მას დამამტკიცებელი საბუთები არ აქვს. აქ კრიმინალი ნამდვილად არ არის, ხელისუფლებას მორალურ პასუხისმგებლობაზე ოპოზიციისთვის მითითების უფლება არა აქვს, მაშინ, როცა თავად არ უკადრისობდნენ სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მიღებას.

ესაუბრა
**რიტა ყაველაშვილი**

ინფორმაცია

## გვეწვივნენ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები

**საქართველოში ვიზიტით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები იმყოფებიან.**

**არქიეპისკოპოსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორემ მიიღო. შემდეგ დელეგაცია ბოდბესა და სიღნაღში გაემგზავრება.**

**ვიზიტის მიზანია კოსტრომისა და გალიჩის და ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიებს შორის ურთიერთობების გაღრმავება.**

## არის თემები რომელსაც გაგებით ეკიდებიან

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია გუშინ რუსეთიდან დაბრუნდა.**

**დელეგაციის წევრები მოსკოვში რუსეთის პატრიარქს კირილს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს შეხვდნენ.**

**ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. უპირველეს ყოვლისა - აფხაზეთსა და სამჩაბლოში ჩვენი სასულიერო პირების დაბრუნების. არის თემები, რომლებსაც მოსკოვში გაგებით ეკიდებიან, — განაცხადა თბილისის აეროპორტში დელეგაციის ხელმძღვანელმა, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმემ.**

ინტერპრესნიუსი

კომენტარი

# „ბალავაძე ცდილობს მოსახლეობას სისულელეებით თვალი აუხვიოს“



***საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვახტანგ ბალავაძემ „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერს ირაკლი ალასანიას შეახსენა, რომ ის თავის დროზე შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ კახა თარგამაძესთან ერთად, ერთიან ძალოვან სტრუქტურას წარმოადგენდა, ხოლო მისი თქმით, ალასანიას თანაგუნდელები, „ახალი მემარჯვენეები“ 2001 წელს კახა თარგამაძის გადადგომას ეწინააღმდეგებოდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ „ალიანსი საქართველოს“ წარმომადგენელს და „ახლების“ წევრს დავით საგანელიძეს ესაუბრა***

**— ბატონო დავით, დღეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვახტანგ ბალავაძემ „მემარჯვენეებს“ ბრალი დაგდოთ, რომ 2001 წელს კახა თარგმაძის თანამდებობიდან გადადგომას ეწინააღმდეგებოდით.**

— ნამდვილად ვერ გეტყვით, ვახტანგ ბალავაძე 2001 წელს სად იყო, ან ტელევიზორს არ უყურებდა, ან ვინმეს განცხადებებს არ უსმენდა? არ ვიცი, საერთოდ რა ინფორმაცია აქვს ამ ადამიანს, მაგრამ ერთი მინდა გითხრათ: 2000 წლიდან, როცა „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქცია შეიქმნა, ჩვენ ვიყავით ის პირველი ოპოზიციური ძალა, რომელიც არა მხოლოდ კახა თარგამაძის, არამედ მთელი მთავრობის გადადგომას მოითხოვდა. იმ მთავრობის, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით მოქალაქეთა კავშირმა დაამტკიცა. ბალავაძე ჯერ ახალგაზრდა ბიჭია, შეიძლება მაშინ სკოლაშიც კი სწავლობდა, და თუ უფრო მეტი ასაკისაა, მაშინ ამნეზია ჰქონია.

ახლანდელი ხელისუფლების წევრები, რომლებიც შევარდნაძის ხელისუფლებიც იყვნენ და მათ შორის მიხეილ სააკაშვილიც, ერთ დროს კახა თარგამაძეს კბილებით იცავდნენ. ახლა როგორც უნდათ, ისე შეუძლიათ ყური მოაბან.

**— ბალავაძემ ისიც აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ალასანია თარგამაძეს პირადად იცნობდა თუ არა, ისინი ერთ სისტემაში მუშაობდნენო. ამ განცხადებას როგორ შეაფასებთ?**

— ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ვინ არის ბალავაძე, რომ მე მის კომენტარებზე კომენტარები ვაკეთო?!. ბალავაძე არის ადამიანი, რომელსაც თითს დაუქნევენ, აბა ახლა ეს თქვიო, გამოდის და ასეთ ურცხვ განცხადებებს აკეთებს. რა ბალავაძის გასარჩევია, ვინ ვის იცნობს, ვინ ვის ხვდება და საერთოდ ვისი რა საქმეა, ვინ ვის ხვდება და რას აკეთებს?! ბალავაძე ხომ არის საპარლამენტო უმრავლესობის წევრი? ჰოდა ვუსვამ კითხვას და მიპასუხოს: მამისონის ულელტეხილზე აფეთქდა ხიდი, რომელზეც შსს აცხადებდა, რომ თურმე თავისით ჩაინგრა, ახლა კი განაცხადეს, აფეთქებულა და ვაკეთებთო. მე ვსვამ კითხვას: ვინ ააფეთქა ხიდი, რატომ ააფეთქეს და რატომ არ არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული? თუ ხიდი აფეთქებული იყო, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი რატომ არ გადადგა იმის გამო, რომ მოსახლეობას ატყუებდა, ხიდი თავისით ჩაინგრაო. ეს ხიდი თავისით ხომ არ აფეთქდებოდა? არ იკვლევენ, ვისი ბრძანებით აფეთქდა? და თუ ეს სამხედრო საიდუმლოება იყო, ფაქტები რომ დავდეთ, ახლა აღარ არის საიდუმლოება? ბალავაძე ასეთ სისულელეებს იმიტომ ლაპარაკობს, რომ სწორედ ასეთი საკითხები მიჩქმალოს და მოსახლეობას სისულელეებით თვალი აუხვიოს. ასე ძალიან რომ აღელვებთ, ვინ ვის იცნობდა და როგორც ჭორიკანა დედაკაცები დასხდნენ, სადმე, თუნდაც ლუდის ბარში და იჭორაონ რამდენიც გაუხარდებათ. როგორც ჩანს, მაგათი საქმე ეგ არის.

ხედვა რუსეთიდან



# „სიამოვნებით ვიმეგობრებდი ვანო მერაბიშვილთან....“

***საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ინტერვიუ მოსკოვში ქართველთა კავშირის პრეზიდენტთან, ბიზნესმენ მიხეილ ხუბუტიასთან***

**— ქართულ პოლიტიკაში რუსული ფულის არსებობის თემა აქტუალურობას არ კარგავს. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქართული არასაპარლამენტო ოპოზიცია რუსეთიდან ფინანსდება, ოპოზიციის ლიდერების მტკიცებით კი, რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს მათი დაფინანსება აუკრძალა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეესაბამება რეალობას საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის განცხადებები?**

— დავიწყოთ იმით, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი არასოდეს ჩარეულა საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: პრეცედენტი, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრს ბიზნესისთვის ქართული ოპოზიციის დაფინანსება აეკრძალოს, არ ყოფილა. რაც შეეხება თავად ქართველ ბიზნესმენებს, თუ ადამიანს არ გააჩნია პოლიტიკური ამბიცია, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს. როგორც ვიცით, ერთ-ერთმა საკმაოდ ცნობილმა ბიზნესმენმა განაცხადა, რომ აპირებს პოლიტიკური პარტიის შექმნას და არ მალავს, რომ მიდის პოლიტიკაში. ვთვლი, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველის მხრიდან ოპოზიციის დაფინანსება ნიშნავს, რომ მას სურს საქართველოში დესტაბილიზაცია და პატრიოტი ქართველი არ გადადგამს ასეთ ნაბიჯს. ცხადია, რუსეთში ვართ მდიდარი ქართველები და ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ამ საკითხში ყველანი ერთ შეხედულებას ვიზიარებთ.

**— თუ სწორად მიგიხვდით, საქართველოს პრეზიდენტობის ამბიციის მქონე ალექსანდრე ებრალიძეს გულისხმობთ. რას ფიქრობთ ებრალიძის პერსონაზე და როგორ შეაფასებთ მისი იმ გეგმის პერსპექტიულობას, რომელიც ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას და მის გარშემო მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრის გაერთიანებას ითვალისწინებს?**

— მინდა გითხრათ, რომ ალექსანდრე ებრალიძე პრაგმატული ბიზნესმენია, ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს და დიდი შესაძლებლობებიც აქვს. რაც შეეხება პოლიტიკას, მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკა ბიზნესისგან დიდად განსხვავდება. ვნახოთ, დრო ყველაფერს გვიჩვენებს.

**— გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან მეგობრობთ. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს?**

— სიამოვნებით ვიმეგობრებდი ვანო მერაბიშვილთან, რომ ვიცნობდე: ხშირად მსმენია მერაბიშვილზე, რომ თავისი საქმის პროფესიონალია. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ერთხელაც არ მყავს ნანახი.

**— მის წინამორბედს — შევარდნაძის მთავრობის შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ხომ არ იცნობთ? კახა თარგამაძე ამჟამად რუსეთში ცხოვრობს. რა იცით მისი საქმიანობის და რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის შესახებ?**

— ბატონ თარგამაძეს საერთოდ არ ვიცნობ. მასთან არასოდეს მქონია კონტაქტები. რაც შეეხება მის ურთიერთობებს რუსეთის ხელისუფლებასთან, ამ თემაზე კომენტარისგან თავს შევიკავებ. როგორც ცნობილია, ბატონმა კახამ თვითონ დაასახელა ხელისუფლებაში მყოფი პირები, ვისთანაც მეგობრობა აკავშირებს. თარგამაძის განცხადებებიდან არ მომისმენია, რომ იგი ქართულ პოლიტიკაში აპირებდეს დაბრუნებას. ასე რომ, თვითონ ბატონი კახას გადასაწყვეტია. საქართველოსთვის თუ რამე კარგის გაკეთება შეუძლია, მე ამ საქმეში წარმატებებს ვუსურვებდი.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას საპასუხო ბრალდებებს უყენებს და აცხადებს, რომ სააკაშვილის გუნდის მთელი რიგი მაღალჩინოსნები თავად მართავენ მოსკოვში ფარულ შეხვედრებს. თქვენ თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას საქართველოს მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რუსეთში ასეთი შეხვედრების გამართვის თაობაზე?**

— ეს გამორიცხულია, რადგან მსგავსი რამ რომ ყოფილიყო, აუცილებლად მეცოდინებოდა. სწორედ იმიტომ არ მიყვარს პოლიტიკა, რომ დაპირისპირების დროს მხარეები ერთმანეთს ცილს სწამებენ. ინფორმაცია მსგავსი შეხვედრების და კონტაქტების შესახებ სრული სიცრუეა.



**— თქვენ ახლო ურთიერთობები გაქვთ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან... როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია რუსეთ-საქართველოს ომის განახლება?**

— განცხადებებს ომის შესაძლო განახლების შესახებ აკეთებენ ადამიანები, რომელთაც საქართველოში მუდმივი დესტაბილიზაცია და ქართველებისთვის რუსების შეძულება სურთ. მე მორიგ ომს გამოვრიცხავ.

**— შს ყოფილ მინისტრთან კახა თარგამაძესთან ბერლინში გამართული შეხვედრის შემდეგ, ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონებში აპირებს გამგზავრებას, თუმცა არც ვიზიტის მიზანი დაუკონკრეტებია და არც ის, ვისთან აპირებს კონკრეტულად შეხვედრების გამართვას. თქვენ როგორ შეაფასებდით ქართველი ოპოზიციონერების სეპარატისტებთან შეხვედრების მსგავსი მცდელობების პერსპექტივებს?**

— საზოგადოდ, ოსურ და აფხაზურ დიასპორებთან ურთიერთობა გვაქვს, თუმცა არ გამჩენია იმის სურვილი, რომ ჩავსულიყავი სოხუმში ან ცხინვალში. თუ ბატონი გაჩეჩილაძე აფხაზეთში ჩასვლას გეგმავს და ამას მოჰყვება მეგობრული ურთიერთობების აღდგენა, მაშინ, რა თქმა უნდა, ამას მივესალმები. აფხაზები და ოსები ჩვენი მეგობრები არიან, ამიტომ მათთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება აუცილებელია.

**— საქართველოს ხალხთა და რუსეთის ხალხთა ასამბლეებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიას თქვენ არ დასწრებიხართ. რა იყო ამის მიზეზი?**

— მიზეზი ის იყო, რომ მე გახლავართ რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტი. ჩვენ არც პოლიტიკური ორგანიზაცია ვართ და არც პიარით ვართ დაკავებულნი — ჩვენ ვაკეთებთ საქმეს. ვეწევით ქართული კულტურის პოპულარიზაციას რუსეთის ტერიტორიაზე. როგორც შეგვიძლია, ვეხმარებით სკოლებს, დევნილებს. კონკრეტული საქმით ვამტკიცებთ, რომ რაღაცის გაკეთება ხელგვეწიფება. ვემსახურებით ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. ასამბლეაში ალბათ იციან, რომ ჩვენ არ ვართ პოლიტიკური მოძრაობა, შესაბამისად, ჩვენი მიწვევა არ აინტერესებდათ.

ლევან ჭითანავა

ინფორმაცია

## ბალაფშსა და კოკოითს რა ძებნა სჭირდებათ

ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია აფხაზი და ოსი სეპარატისტებისთვის ბრალის წაყენების საკითხს, პარლამენტში დაგეგმილ პოლიტიკური დებატებისას, კიდევ ერთხელ მოიკითხავს.

როგორც პაატა დავითაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, პოლიტიკურ დებატებზე კიდევ ერთხელ შეეცდება გაარკვიოს, რატომ არ არის ბალაფშზე, კოკოითზე და სხვა სეპარატისტებზე ძებნა გამოცხადებული.

მისი თქმით, გენერალურ პროკურატურაში მას განუმარტეს, რომ სეპარატისტთა ლიდერების წინააღმდეგ საქმე აღძრულია, დაკითხულია 5 ათასამდე მოწმე.

მიუხედავად პროკურატურის მტკიცებისა, რომ სეპარატისტების ბრალეულობა მტკიცებულებებით კარგად უნდა იყოს გამყარებული, დეპუტატს მიაჩნია, რომ ამ საკითხების მომზადება რამდენიმე წუთშიც კი შესაძლებელია.

სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო ლიდერების ინტერპოლის მიერ ძებნილებად გამოცხადების საკითხი პაატა დავითაიამ პარლამენტში რამდენჯერმე დააყენა.

## დაიცავენ „დედოვშინის“ მსხვერპლს

საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა რუსი ჯარისკაცის, რიგითი არტემიევის უფლებები დაცული იყოს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა აღნიშნა, რუსულმა მხარემ დაადასტურა, რომ პერევში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის დატოვების მიზეზი ე.წ. დედოვშინა იყო, ხოლო მის წინააღმდეგ საქმე დეზერტირობის მუხლით არის აღძრული.

ქართული მხარის ინფორმაციით, არტემიევი უკვე შეხვდა საქართველოში შვეიცარიის საელჩოს, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შუამავალი ქვეყნის წარმომადგენელს.

— საქართველო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ ჯარისკაცის უფლებები დაცული იყოს, — აღნიშნა ნალბანდოვმა.

ინტერპრესნიუსი

◎ მოთხოვნა

# ჯო ბაიდენის ვიზიტამდე ყველა პოლიტიკური პატიმარი უნდა გათავისუფლდეს

**საქართველოში პოლიტიკურ პარტიებსა და თავისუფალი აზრის მქონე ადამიანებზე რეპრესიები გრძელდება. ახლად ფეხადგმული დემოკრატია სულს ღაფავს და მშველელიც არავინაა. როგორც ჩანს, ჩვენ დღეს პოლიტიკური რეპრესიების უმაღლეს წერტილს მივაღწიეთ. პოლიტპატიმართა რიცხვმა კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. საერთაშორისო თანამეგობრობა საეჭვოდ დუმს, მაგრამ გაჩუმებას არ აპირებენ უკანონოდ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები, ნათესავები, ოპოზიციური ფრთა, რომელთაც თვითონ შეეხოთ დიქტატურის მსახვრალი ხელი.**



გუშინ სახალხო დამცველის ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციამ „კანონი ხალხისთვის“ ის საგანგაშო მონაცემები წარმოადგინა, რომელიც დღესდღეობით პოლიტპატიმართა რაოდენობას ასახავს. მათი რიცხვი ასს უახლოვდება. სახალხო დამცველის ოფისში უამრავი ადამიანი შეიკრიბა. როგორც ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა (მისი მამაც დაპატიმრებულია პოლიტიკური ნიშნის გამო), მათი რაოდენობა გაცილებით დიდია, ხალხს მოთმინების ფიალა აევსო და ისინი კოორდინირებულ მოქმედებებზე გადავლენ. შეხვედრა პოლიტპატიმრების ოჯახის წევრებთან არასამთავრობო ორგანიზაციამ საგანგებოდ დაამთხვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტს რუსეთში.

**ზაქარია ქუცნაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კანონი ხალხისთვის“ თავმჯდომარე:**

– პოლიტპატიმრების ოჯახები და მათი მეგობრები, ვეხმიანებით რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას, ვაცხადებთ, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნამ და ამ მიზნით დაპატიმრებულ ადამიანთა რაოდენობამ უახლოესი ისტორიისთვის არნახულ რიცხვს მიაღწია. კერძოდ, თუ 9 აპრილის აქციებამდე დაპატიმრებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 30 ადამიანს, დღეს მათი რაოდენობა გასამმაგდა და როგორც სისხლის, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით 92 ადამიანია დაპატიმრებული. ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას და საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების კოორდინირებულ მოქმედებებს.

ისინი ასევე მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხოეთის მთავრობებს, განსაკუთრებით აშშ-ს მთავრობას, რომ მათ დაეხმარონ დიქტატორული რეჟიმის მარწუხებიდან უდანაშაულო ადამიანების დახსნაში, რათა ჯო ბაიდენის საქართველოში ვიზიტამდე გათავისუფლდეს ყველა პოლიტიკური პატიმარი. ამ დროისთვის ყველაზე მეტი ადამიანი დაპატიმრებულია ოპოზიციის აქციებში თანამონაწილეობის გამო. მათ ოფიციალურ ბრალდებად უმეტესად, ნარკოტიკების მოხმარებას, იარაღის უკანონო ტარებას უყენებენ.

**ანა წიწილაშვილი**

# აუქციონი

## მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**I ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 1200 მმ-იან 400 გრძ. მეტრი რკინის მილი; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდაში მდებარე 1200მმ-იანი 50 გრძ. მეტრი რკინის მილი; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ქანდაში მდებარე 320 მმ-იანი 3400 გრძ. მეტრი რკინის მილი და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე 300 მმ-იანი 2200 გრძ. მეტრი რკინის მილი;

**საწყისი გასაყიდი ფასით – 119 151 ლარი.**

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 5% - ს
აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს
აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ. კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33, 899 34-50-85**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

◎ ინფორმაცია

## სკოლის დირექტორს თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ

**დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის მაია ლაპიაშვილის წინააღმდეგ, სიღნაღის პროკურატურამ თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**

**პროკურატურის წარმომადგენლებმა სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე სხვა იურიდიული დოკუმენტები ამოიღეს და ექსპერტიზა დანიშნეს. სიღნაღის პროკურატურის პროკურორის გოჩა ჯანყარაშვილის თქმით, სკოლის დირექტორს თანხების მითვისებასა და გაფლანგვაში ადანაშაულებენ.**

**მაია ლაპიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას დევნად აფასებს ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის კოორდინატორი. მისი თქმით, სკოლის დირექტორს ერთ წელზე მეტია რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ბაღაშვილი დევნის, რომლის დედაც თამარ ბაღაშვილიც ამავე სკოლის დირექტორობის კანდიდატი იყო, მაგრამ მას ლაპიაშვილმა აჯობა.**

## დედოფლისწყაროს მგლები შეესივნენ



**მგლები ქალაქ დედოფლისწყაროსაც შეესივნენ. მტაცებლებმა მეტალურგების ქუჩაზე მცხოვრებ პოპიაშვილების ოჯახს ცხვრები გაუნადგურეს. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან.**

**ადგილობრივების განცხადებით, ეს ქალაქში მგლების შემოსევის პირველი შემთხვევა არ არის. მოსახლეობის თქმით, მუნიციპალიტეტის გამგეობას დახმარება არაერთხელ სთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ.**

**შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, სხვადასხვა დროს მგლებმა დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა მნიშვნელოვნად დააზარალეს. მტაცებლებმა საზღვრისპირა სოფლებში ასეულობით სული საქონელი გაანადგურეს, დაგლიჯეს ადამიანებიც.**

ჯი-ეიჩ-ენი

**საქმე № 04/09**

## შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „მედიატორი“

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „მედიატორის“ სახელით არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

**თბილისი** **06 ივლისი 2009 წ.**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „მედიატორი“
**არბიტრი** – ზურაბ გვარჯალაძე
**პრეტენდენტები** – ხვიჩა ასტამიძე, იამზე ქვანია
**მოპასუხე** – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „აბესაძის ჩიხი“ – ამხანაგობის თავმჯდომარე (წარმომადგენელი) მიხეილ ხუციშვილი.

**დავის საგანი** – თანხის დაბრუნება და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია

**გამოარკვია:**

მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „მედიატორს“ 2009 წლის 19 ივნისს, საარბიტრაჟო პრეტენზიით მომართეს პრეტენდენტებმა ხვიჩა ასტამიძემ და იამზე ქვანიამ, მოპასუხე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „აბესაძის ჩიხი“-ს (წარმომადგენელი მიხეილ ხუციშვილი) მიმართ თანხის დაბრუნებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ.

**დაადგინა:**

1. მოპასუხე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „აბესაძის ჩიხი“-ს – ამხანაგობის თავმჯდომარეს (წარმომადგენელს) მიხეილ ხუციშვილს ეცნობოს, რომ მუდმივმოქმედ არბიტრაჟ მედიატორში 2009 წლის 20 ივლისს, $16^{00}$ საათზე, მისამართზე: თბილისი, ა.წერეთლის გამზ. № 117, მე-3 სართ. ოთახი 308, დანიშნულია პრეტენდენტების ხვიჩა ასტამიძის და იამზე ქვანიას საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვა (მთავარი სხდომა) მოპასუხე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „აბესაძის ჩიხის“ მიმართ თანხის დაბრუნებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ;

2. მოპასუხეს განემარტოს, რომ მუდმივმოქმედი არბიტრაჟ „მედიატორის“ დებულების 17.18 მუხლის თანახმად, უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. მოპასუხეს ასევე განემარტოს, რომ თუ არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მოპასუხე მხარე არ გამოცხადდება მთავარ სდომაზე არასაპატიო მიზეზით, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად გააგრძელოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება;

4. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“;

5. არბიტრაჟის შეტყობინების გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების ხარჯების გადახდა დაევალოთ პრეტენდენტებს ხვიჩა ასტამიძეს და იამზე ქვანიას;

6. დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**დავის განმხილველი არბიტრაჟის თავმჯდომარე:**

**ზურაბ გვარჯალაძე**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**2009 წლის 10 აგვისტოს 11 საათზე ქ. ხონში, პ. კაკაბაძის ქ. №17, 2 საათზე ტარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოდის ქ. ხონში, დ. აღმაშენებლის №10-ში მდებარე შპს „კომეტას“ ქონება.**

1. აღნიშნულ მისამართზე არსებულ შპს „კომეტა“ დამაგრებული იყო არასასოფლო მიწის ფართებზე 12580 კვ მ. და 7444 კვმ-ზე, დღეისათვის მიწა სახელმწიფო მფლობელობაშია.

2. 2005 წლის 24.11 სასამართლოს დადგენილებით შპს „კომეტა“ გაკოტრებულია, რომლის ქონების ღირებულება სასამართლო ექსპერტიზის შეფასებით შეადგენდა 80550 ლარს. დღეისათვის გაყიდულია 17050 ლარის ქონება, დარჩენილია 63 500 ლარის ქონება, რომელიც წარმოადგენს საწყის ფასს აუქციონზე და გაიყიდება მთლიანობაში.

შპს „კომეტას“ ქონება შეადგენს საავტომობილო ტექნიკას და შენობა ნაგებობებს.

ქონების საწყისი გასაყიდი ფასი 63 500 ლარს შეადგენს, „ბე“-ს ოდენობა საწყისი ღირებულების 10 პროცენტს, მინიმალური „ბიჯი“ შეადგენს 200 ლარს, აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება 20 ლარია.

**აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 7 ივლისის 11 საათიდან 2009 წლის 7 აგვისტოს 11 საათამდე. აუქციონში მონაწილეობის მსურველნი (შემდგომში მონაწილექ აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა. განაცხადს;

ბ. შპს „კომეტას“ ანგარიშზე „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელ საბანკო ქვითარს და აუქციონზე მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის საბანკო ქვითარს;

გ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;

დ. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს და ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან. „მონაწილე“ აუქციონის მონაწილეთა ჟურნალში რეგისტრაციის მომენტიდან, იღებს მონაწილის „ბილეთს“ და დებულობს მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც გამყიდველს შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში დადოს გამყიდველთან ნასყიდობის ხელშეკრულება და დაფაროს აუქციონზე მის მიერ დასახელებული საბოლოო თანხა.

თუ „მყიდველი“ დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს გასაყიდ ქონებას.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქ. ხონში, ტელეფონი 893-35-36-17.**

**აუქციონი გაიმართება 2009 წლის 10 აგვისტოს 11 საათზე. მისამართი: პ. კაკაბაძის №17, 2 სართული, ტელ. 893-35-36-17.**

# რა ხდება „მზიურში"?

**როგორც თბილისისა და მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის გახდა ცნობილი (თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებისა და სატელევიზიო გადაცემის საშუალებით), თბილისის მერიამ, გმირთა მოედნისა და ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი გზის ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოაცხადა ტენდერი, ჩქაროსნული მაგისტრალის პროექტის შესაქმნელად და ასაშენებლად.**

გარკვეულია ტენდერში გამარჯვებული კოლექტივიც. პროექტი ითვალისწინებს 16-მეტრიანი სიგანის მაგისტრალის გატარებას ზოოპარკისა და მზიურის ტყეპარკში. პროექტი ორი ასპექტითაა განსახილველი, პირველი და ძირითადი არის ეკოლოგიის საკითხი, ხოლო მეორე — თბილისის ავტოსატრანსპორტო სისტემის სრულყოფა. 1971 წელს დამტკიცებულ თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალურ გეგმაში, რომლითაც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ, სატრანსპორტო კომპლექსურ სქემაში ასეთი გზა მოიაზრებოდა, მაგრამ დღემდე ვერავინ გაბედა ტყეპარკში სატრანსპორტო მაგისტრალის გაყვანა, ვინაიდან **ეკოლოგიური დანაკარგი გაცილებით ღირებულია, ვიდრე ხსენებული ავტომაგისტრალი.** ამ წლებში ეს ტერიტორია დაეთმო ბავშვთა ქალაქ „მზიურს". ბავშვთა ატრაქციონები და „მზიური " ზოოპარკთან ერთად ჩამოყალიბდა როგორც ლანდშაფტური არქიტექტურისა და ქალაქის ეკოლოგიური უსაფრთხოების ზონა, რომელიც დაცულია საერთაშორისო კონვენციით.

რევოლუციის ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებასაც შეეწირება მწვანე მასივი, ზოოპარკი, „მზიური" და გაბინძურდება ჰაერი.

მდინარე ვერეს ხეობა თბილისის ტერიტორიის განიავება-ვენტილაციის ერთ-ერთი ძირითადი არხია. ეს შეიძლება შევადაროთ თბილისის ფილტვებს და მისი დაბინძურება თბილისისთვის ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასი იქნება. განა უაზრობა არ იქნება, რომ ხელისუფლებამ 35.0 მილიონი ლარი დახარჯოს იმისთვის, რომ გააუარესოს თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა, ხოლო სატრანსპორტო ორგანიზაციის თვალსაზრისით მივიღებთ გაურკვეველ შედეგს, ვინაიდან მსგავსი პროექტების შესრულებას წინ უნდა უძღოდეს კვლევა, რომელიც პასუხს გასცემდა შემდეგ კითხვებს:

**რამდენად განტვირთავს ვაკისა და საბურთალოს მიმართულებას ახალი ტრასა?** (გაანალიზებული კონკრეტული ციფრებით);

**რამდენად პრიორიტეტულია თბილისის სატრანსპორტო სისტემის სრულყოფისთვის კიდევ ერთი გრძივი მაგისტრალი, როდესაც ქალაქს აკლია განივი კავშირები.**

როგორც თბილისში მომძლავრებულმა ნიაღვრებმა დაგვანახა, სასწრაფოდ ჩასატარებელია სანიაღვრე კანალიზაციების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები, რათა თავიდან ავიცილოთ დატბორილი სარდაფები და დანგრეული საცხოვრებელი სახლები. ამას ხომ დიდი ზარალი მოაქვს. ეს უნდა იყოს ერთადერთი პრიორიტეტული მიმართულება მერიისათვის.

უნდა არსებობდეს ქალაქის სატრანსპორტო სისტემის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც კომპლექსურად განიხილავს, რომელიმე რთული კვანძის გადაწყვეტის შემთხვევაში, როგორ გადანაწილდეს სატრანსპორტო ნაკადები.

თბილისის მოსახლეობა ჩემი აზრით, წინააღმდეგია ზემოთ ხსენებული საეჭვო ღირებულების სატრანსპორტო მაგისტრალის განხორციელებისა და ყოველ ღონეს იხმარს, რათა გადარჩეს ზოოპარკი და მზიური გაჩანაგებისაგან.

ერთი სამწუხარო დასკვნის გაკეთებაც მოგვიწევს: ქალაქის მესვეურებმა ან არ იციან რას აკეთებენ, ან იციან და განგებ აკეთებენ! ამის თქმის უფლებას გვაძლევს ქალაქის მიმართ დღემდე ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებები, როგორიცაა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის — ტრამვაის და ტროლეიბუსების გაუქმება, საზოგადოებრივი სივრცეების — მოედნების, პარკების, ტროტუარების, სკვერების გაყიდვა და ა. შ.

**ლერი გოშაძე,**
**საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი**



# როგორ იხსნება კვანძები?

**მსხვილი თანამედროვე ქალაქების ერთ-ერთ უდიდეს გასაჭირად ავტომანქანა იქცა. მათი რიცხვი, განსაკუთრებით მეგაპოლისებში ლამის მოსახლეობის ოდენობას უტოლდება. ეს არ არის ახალი პრობლემა — განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდამ საავტომობილო მრეწველობის უსწრაფესმა განვითარებამ და მისი პროდუქციის ფაქტობრივად, საყოველთაო ხელმისაწვდომობამ ხალხს საშუალება მისცა საკუთარი ავტოტრანსპორტი ჰყოლოდა. არადა მრავალი ქალაქის ცენტრი, მით უმეტეს ძველისა და მთაგორიან რელიეფზე გაშენებულის, სულაც არ არის გათვალისწინებული მოზღვავებული ავტომანქანების ჯოგის შეუბრკოლებელი გატარებისთვის.**

ბოლო დროინდელი ცნობებით მოსკოვის მთელი ცენტრი, დღეს თურმე, ადგილზე დგას, მით უმეტეს პიკის საათებში. არადა, ვინც რუსეთის დედაქალაქში ერთხელ მაინც ყოფილა, ახსოვს, ალბათ, თუ რაოდენ ფართოა მისი პროსპექტები და როგორი გაშლილია მოედნები. თუმცა ისევე, როგორც ყველა ქალაქში, აქაც უამრავი მნიშვნელოვანი ვიწრო სატრანსპორტო „ყელია", რომლებიც მუდმივად თუ არა, დღე-ღამის გარკვეულ დროს მაინც პერმანენტურად საცობის ჩანასახად გადაიქცევა ხოლმე. საყოველთაოდ გახმაურდა ამბავი, როცა მოსკოვში საპასუხო მატჩის ჩასატარებლად ჩასული ერთ-ერთი ცნობილი უცხოური საფეხბურთო კლუბის საავტომობილო საცობში მოყოლილი ფეხბურთელები, იძულებულნი გახდნენ ავტობუსიდან გადმოსულიყვნენ და თამაშის დასაწყისისთვის მისასწრებად სტადიონამდე მეტროთი წასულიყვნენ. ლონდონში კი, სადღეისოდ, ავტომანქანების მოძრაობის საშუალო სიჩქარე საათში... 12 კილომეტრი ყოფილა, ანუ ისეთივე, როგორც საუკუნის წინათ იყო!

ეს გასაჭირი არც თბილისისთვისაა უცხო, რასაც დედაქალაქის რელიეფი, ძველი ვიწრო ქუჩები, ბოლო დროს მეტად გაზრდილი ავტოპარკი და, ყოველივე ამას დამატებული მანქანის უწესოდ ტარება და პარკირების წესების მთლად უგულებელყოფა თუ არა, დარღვევები განაპირობებს. ბოლო დროს დედაქალაქში სულაც ისეთი ადგილებიც გაჩნდა, სადაც ავტომანქანებმა ტროტუარებიდან ფეხით მოსიარულეებიც კი ლამის განდევნეს და დღის საათებში მხოლოდ მთის ბილიკებივით ვიწრო გასასვლელებს უტოვებენ. კერძოდ, ასეა ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, კოსტავას ქუჩაზე, სხვაგან.

საცობებისგან ქუჩების დასაცლელად დიდ ქალაქებში სხვადასხვა ხერხებს და მათ კომპლექსებს მიმართავენ. ესენია **საავტომობილო განტვირთვის კვანძების, ახალი გზატკეცილების აშენება-გაყვანა, სადაც შესაძლებელია — ძველების გაფართოება, ქუჩებში ორმხრივად ერთმიმართულებიან მოძრაობაზე გადასვლა (მაგალითად, თბილისში, რამდენიმე წლის წინათ, მელიქიშვილის პროსპექტი — კოსტავას ქუჩა — ვარაზისხევის ცნობილი სამკუთხედი), კენტ და წყვილნომრიანი კერძო ავტომანქანებისთვის ქალაქში მოძრაობის უფლების მიცემა თვის შესაბამის კენტ ან წყვილ დღეებში, საკურორტო ზონებში არაადგილობრივი საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა, გარკვეულ დღეებსა და საათებში ორმხრივი მოძრაობის ქუჩებზე ავტომანქანების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გაჩერების ან დაყენების ნებართვა და სხვ.**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ გზას უკვე რამდენიმე წელია თბილისის მერია და საპატრულო პოლიციაც დაადგა. ნახსენებ „ვერის სამკუთხედთან" ერთად ახლახან დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პროსპექტების მანამდე თბილისის ცენტრის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საავტომობილო წერტილად ქცეულ მოედანზე, ოთხი მხრიდან ინტენსიურად მოძრავი ტრანსპორტის ნაკადების გააზრებულად, სანიმუშოდ მოწესრიგება მივემატა. არის დედაქალაქში ამის მსგავსი სხვა ადგილებიც, რომელთა შესახებ არ ვლაპარაკობთ, მაგრამ ახლა თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო, პეკინის ქუჩას მინდა მივაქციო, სადაც დღისით მოძრაობა მართალია უწინდელთან შედარებით გაადვილებულია, მაგრამ მაინც საკმაოდ ჭირს. ასევე მარჯანიშვილის ქუჩაზე, რომელიც მტკვრის ერთი სანაპიროდან მეორეზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიაა.



სიმართლე გითხრათ, იმის განჭვრეტა, თუ როგორ უნდა გაადვილდეს მოძრაობა, ეს პროფესიონალების საქმეა (ხომ შეძლეს, როცა მოინდომეს, „გოსკინპრომის" სატრანსპორტო კვანძის „გაჭრა"ძ, მაგრამ რაც შეეხება მარჯანიშვილის ქუჩას, აქ სხვა ვითარებაა. ერთ დღეს ყურადღება მივაქციე, რომ, პიკის საათის მიუხედავად, ავტომანქანების მოძალებული ნაკადი წინა დღესთან შედარებით ერთობ თავისუფლად მიედინებოდა. მაშინვე თვალში მეცა ფეხით მოსიარულე საპატრულო პოლიციის განწესი, რომელიც ამ ვიწრო ქუჩაზე მძღოლებს ავტომანქანების დაყენების უფლებას არ აძლევდა. ცხადია, გამიხარდა და როცა პოლიციელებს ვკითხე, ან აქამდე რატომ არ აკეთებდით ამას, ანდა ყოველდღე რატომ არ აქცევთ ყურადღებას მანქანების უადგილო ადგილებში გაჩერებას-მეთქი, — როცა დავალებას გვაძლევენ, ჩვენც მაშინ ვასრულებთო, მითხრეს. მაშასადამე, თურმე ყოფილა იმის რესურსი, რომ შიდა რეზერვებით, ყოველგვარი ზედმეტი ხარჯისა და დაძაბვის გარეშე ეშველოს თუნდაც ერთი ზედმეტად დატვირთულ მნიშვნელოვან ქუჩაზე თავისუფალი მოძრაობისთვის სათანადო პირობები შექმნა. ამას დიდი რეკლამა და პროპაგანდა არ სჭირდება, მას, უბრალოდ, უნარიანად გამოყენება სჭირდება, რაც, ვფიქრობ, უნდა გააკეთოს დედაქალაქის სატრანსპორტო დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## საწარმო კახელ ფერმერებს დაეხმარება

**გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა, რომელიც კახელ ფერმერებს საკუთარი პროდუქციის გადამუშავებაში, დაფასოებასა და შემდგომ რეალიზაციაში დაეხმარება.**

**საწარმო გაეროს განვითარების პროგრამისა და რუმინეთის მთავრობის ხელშეწყობით შეიქმნა.**

**საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით - ხილბოსტნეულის სარეცხი, ვაკუუმ-აპარატი ხარშვისთვის, ავტოკლავი სტერილიზაციისთვის, ჩამოსასხმელი, ქილების სარეცხი აბაზანა და ქილების დამხუფი.**

**საწარმოს მოწყობაზე, დაახლოებით, 130. 000 აშშ დოლარი დაიხარჯა.**

ინტერპრესნიუსი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი – საქართველო მის სულში და მოსკოვის ტვირთი – მის მხრებზე



**გასული ზაფხულის კატასტროფული ომის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ქარიზმატული ლიდერი იმედოვნებს, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობათა გამოსწორებას მისი ქვეყანა არ შეეწირება. შონ ვოლკერი მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.**

საათი მიქმნის უხერხულობას, თორემ დანარჩენი ყველაფერი ისეთია, როგორც პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს - გაუთოებული პერანგი და მოდური ჰალსტუხი; თითის წვერებზე მოსიარულე თანამშრომლები, თუთითა და ალუბლით სავსე ჯამებით; და უზარმაზარი, წიგნებით მოფენილი, ხით მოპირკეთებული ინტერვიუების ოთახი, რომელიც პრეზიდენტის რაიხსტაგით შთაგონებულ რეზიდენციაშია განლაგებული. ამ პომპეზურობის ფონზე, საქართველოს პრეზიდენტს ხელზე მსხვილი, ლურჯი პლასტმასის საათი უკეთია, რომელზეც, მგონი, ცელქი კურდღლებია გამოსახული.

რეგიონში, სადაც პრეზიდენტებს ახალი ყაიდის, უჩვეულო, საშინლად ძვირფასი შვეიცარული საათები ურჩევნიათ, ეს ერთობ უცნაურად გამოიყურება. მაგრამ სააკაშვილი არც არასდროს ჰგავდა ძალიან რეგიონის ნებისმიერ სხვა პრეზიდენტს – კლეპტოკრატებად ქცეულ ყოფილ პარტიულ ჩინოვნიკებს, 2003 წელს სააკაშვილი „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლებაში მოვიდა, მან რეგიონში ფუნდამენტურად ახალი სახის მმართველობის შექმნის პირობა დადო. კორუფციის, პრივილეგიების, ავტოკრატიის პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა უნდა აღგვილიყო და გზა უნდა მიეცა დემოკრატიის, განათლებული მმართველობისა და ეკონომიკური განვითარების ახალი, ნათელი დროებისთვის.

ასე იყო მაშინ, რა თქმა უნდა, და ასეა ახლაც. იმ თავბრუდამხვევმა დღეებმა, როდესაც ჯორჯ ბუში თბილისის ქუჩებში ცეკვავდა, სააკაშვილის საქართველოს „თავისუფლების შუქურას“ უწოდებდა, ხოლო დასავლელი ჟურნალისტების უწყვეტი ნაკადი მისი დემოკრატიული დამსახურებებითა და, ზოგადად, მისი მრავალფეროვანი ხიბლით თვალმოჭრილნი აქ ინტერვიუებისთვის ჩამოდიოდნენ, დიდი ხანია ჩაიარა. მერე კი მოვიდა დრო მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევის, სულ უფრო აგრესიული ოპოზიციური მოძრაობის, რომელიც მის გადადგომას ითხოვდა და ამ ბოლო თვეებში თბილისის ცენტრში ქუჩები იმიტირებული ციხის საკნებით გადაკეტა. და კიდევ ერთი პატარა პრობლემის დროც მოვიდა – რუსეთთან გამანადგურებელი ომის დრო. როდესაც უკანასკნელად, დაახლოებით ერთი წლის წინ შევხვდი, მაშინ ასეთი რამ მითხრა – მისი მთავარი ამბიცია საქართველოს ისეთ სტაბილურ და აყვავებულ ქვეყნად გარდაქმნაა, რომლის მართვაც „მოსაწყენი მოვალეობა“ გახდებოდა. მაგრამ ყველაფერი ამ გზით როდი წარიმართა.

თუმცა სააკაშვილი, ან, როგორც მას ყველა ეძახის – მიშა, ნებას არ გვაძლევს საუბარი ნეგატიური საკითხებით დავიწყოთ. როგორც კი ხელი ჩამოვართვი, ოთახში აღგზნებული ბავშვივით სირბილს მოყვა და ის ფოტოები მაჩვენა, რომლებზეც ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები და კიდევ სხვა არქიტექტურული ნიმუშები იყო აღბეჭდილი – მათი აშენება საქართველოს შავი ზღვის კურორტზე, ბათუმშია დაგეგმილი.

სასახლეების მშენებლობის ერთ სურათს მეორე მოყვება, ყველაფერს მისი მჩქეფარე კომენტარი ახლავს და მე თითქმის ვირწმუნე, რომ ბათუმი შეიძლება ახალ ბარსელონად მოგვევლინოს, ხოლო საქართველო – კავკასიის სინგაპურად.

თუმცა ერთი პრობლემა მაინც რჩება და ეს, რაღა თქმა უნდა, რუსეთია. საქართველოს ყოფილ მთავარ სავაჭრო პარტნიორთან ყველა კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ქვეყნის ექსპორტმა დრამატულად იკლო, ხოლო იმის გამო, რომ კრემლისთვის სააკაშვილი ბოროტი სულია, ბევრი შიშობს – რუსეთი უკან დაბრუნდება და შარშან დაწყებულ საქმეს დაასრულებს.

ვაშინგტონში ახალი პრეზიდენტია და მოვლენათა ასეთი განვითარება კიდევ უფრო სავარაუდოდ მოსჩანს. როდესაც ბუშმა თეთრი სახლი დატოვა, ამერიკის სამხრეთის გარდა, ცოტა ვინმეს თუ გადმოსცვივდა თვალიდან ცრემლი. იმ დროს, როდესაც მთელმა მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა, საქართველოს თავზარი დაეცა.

ახლა ოფისი ბარაკ ობამამ დაიკავა და ვაშინგტონის პრიორიტეტებიც შეიცვალა. დაიწყო ლაპარაკი რუსეთთან ურთიერთობების ახალ ერაზე, ისეთი უსიამოვნო პრობლემები, როგორიც საქართველოა, დავიწყებას მიეცა და ჰილარი კლინტონმა, ორმხრივ ურთიერთობებში ახალი სტარტის სიმბოლოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს „გადატვირთვის ღილაკებიც“ კი უსაჩუქრა. თბილისში ერთი შემაშფოთებელი ხუმრობაც გაჩნდა – ეს ღილაკები იმ ასაფეთქებელი მოწყობილობისაა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იმედებს ააფეთქებს.

ამასობაში მოსკოვში სააკაშვილის ხსენებას საგინებელი სიტყვის ელფერი დაჰკრავს. რუსეთის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები სააკაშვილის ხსენებაზე ზიზღით კრთებიან. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მას „პოლიტიკური გვამი“ უწოდა, პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სააკაშვილის „ერთი ადგილით დაკიდება“ სურს. ორივე მხარე აღშფოთებითა და უნდობლობით რეაგირებს, თუ ვინმემ ივარაუდა, რომ პასუხისმგებლობა შარშანდელი აგვისტოს ომზე მას ეკისრება. პუტინი აცხადებს, რომ დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც სააკაშვილმა დაუფიქრებლად გაგზავნა ტანკები სამხრეთ ოსეთში და რუსებს პასუხის გაცემის გარდა არჩევანი აღარ დარჩათ. სააკაშვილი ამტკიცებს, რომ რუსების შემოჭრა არაფრით იყო პროვოცირებული და პუტინის მიერ დიდი ხნის წინათ დაგეგმილი მოქმედების, საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ნაწილს შეადგენდა. სიმართლე, ალბათ, ისაა, რომ ორივე მხარეს პასუხისმგებლობის საკუთარი წილი აქვს. მაგრამ სააკაშვილი, გაცეცხლებით უარყოფს ამას და მათ, ვისაც სჯერა, რომ ომი მისი დაწყებულია, „განზრახ არაინფორმირებულებს“ უწოდებს.

პუტინმა, აცხადებს სააკაშვილი, შეერთებული შტატებისა და ბევრი ევროპული ქვეყნის მიერ კოსოვოს აღიარებიდან ცოტა ხნის შემდეგ, რასაც რუსეთი საშინელ წინააღმდეგობას უწევდა, უთხრა, რომ ამ ნაბიჯს კავკასიაში შესაბამისი შედეგები მოჰყვებოდა. „მან მითხრა: „თქვენ თქვენი მოკავშირეების გამო მოგეკითხებათ. თქვენმა მოკავშირეებმა კოსოვო აღიარეს და ჩვენც რაიმე უნდა მოვიმოქმედოთ. მაგრამ ეს თქვენთვის ძალიან მტკივნეული არ იქნება, არ ილელვოთ. ეს იმას ჰგავდა, რომ ვიღაც თავზე ნაჯახით დაგადგეს და გეუბნებოდეს, „არ შეშინდე, ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ თვალები დახუჭე და მოდუნდი“.

მედვედევიც, რომელსაც ნაკლებად განიხილავენ ომის მოყვარულ ქორად და პუტინზე უფრო ნაკლებად ძლევამოსილია, საქართველოს პრეზიდენტის დამგმობ რიტორიკას შეუერთდა. სააკაშვილი აცხადებს, რომ მედვედევმა ერთხელ კარგი საქმე გააკეთა და აგვისტოს საბედისწერო დღემდე რამდენიმე კვირით ადრე, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის მიერ გამართულ არაფორმალურ სადილზე ყაზახეთში, ასტანაში ომის დაწყების შესახებ გააფრთხილა.

რუსები არასდროს ყოფილან აღფრთოვანებული კაცით, რომელიც თავის ქვეყანას მოსკოვის ორბიტიდან გამოყვანას და ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებას ჰპირდებოდა. გასული ზაფხულიდან რუსებმა ცხელებიანი კამპანია დაიწყეს. კამპანიის მიზანი ერთი რამის ჩვენება იყო – სააკაშვილი იმდენად არასტაბილურია, რომ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს. კრემლის დაფინანსებული, ინგლისურენოვანი სატელევიზიო არხი Russia Today მას მუდმივად „შეშლილს“ უწოდებს. რუსულმა ტელევიზიამ ფრაიმთაიმი დაუთმო ტელეინტერვიუს, რომელშიც ფსიქიატრები სააკაშვილის ქცევას ფსიქოპათიის კლასიკურ ნიმუშს უწოდებდნენ.

მაგრამ სააკაშვილი შეშლილი როდია. რეგიონში ის მართლაც ყველაზე ინტელექტუალური და ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერია. „მართლაც შოკში ვიყავი და ეს ჩანდა“ - აღიარა მან და პირისკენ ერთი მუჭა თუთა წაიღო. „მაგრამ, ვფიქრობ, მერე თავი ხელში ავიყვანეთ, ეკონომიკა აღვადგინეთ და რეფორმების განგრძობის ძალა დავიბრუნეთ“.

გადაიყვანეთ ტონი ბლერის მშვიდი, ჯიუტი ქრისტიანობა კავკასიელი მამაკაცის ცეცხლოვან ტემპერამენტში და ეს ორი კაცი პოლიტიკურ ტყუპებად მოგევლინებათ. ორივე მათგანი შეპყრობილი იყო თავისი მემკვიდრეობით, ორივე ისე ინტენსიურად ზრუნავდა პოლიტიკისთვის, რომ მათი თითოეული უჯრედი ვნებას ასხივებდა, ორივეს სულ უფრო მზარდი რაოდენობის პოლიტიკური მეტოქე დიქტატორულ იმპულსებში და მედიაზე გადაჭარბებულ დამოკიდებულებაში სდებდა ბრალს და ორივე ისეთი რწმენითა და ვნებით ლაპარაკობდა, რომ მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმებოდი, შეუძლებელი იყო შთაბეჭდილების ქვეშ არ მოქცეულიყავი.

ინტერვიუს ბოლოს ვკითხე, რატომ ატარებს ბაჭიებიან საათს.

„ჰო ბაჭიებიანი საათია, მერე რა? “ – იკითხა მან ხუმრობით და გამყინავი ხმით ჩაიხითხითა. ბოლოდროინდელ საპროტესტო გამოსვლებზე, სადაც მის გადადგომას მოითხოვდნენ, ოპოზიციამ პრეზიდენტის რეზიდენციასთან მამხილებელი პლაკატი დაკიდა, რომელიც აცხადებდა, რომ სააკაშვილი შეშინებული კურდღელივით იქცეოდა. ისინი სტაფილოს ისროდნენ და ერთხელ ლოზის გისოსებიდან ცოცხალი კურდღელიც კი გაუშვეს.

ეს საათი, ეტყობა, იმის მიმანიშნებელია, რომ ოპოზიციის შეურაცხყოფას იუმორით ეკიდება. დემონსტრანტებმა მთავარი გზები იმპროვიზირებული საკნებით გადაკეტეს, მისი ოფისიც პიკეტირებული ჰქონდათ. ამიტომ ის ორი თვის მანძილზე ქალაქის მეორე ბოლოს, სხვა შენობაში მუშაობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისში განწყობები შეიცვალა – ბევრ რიგით ქართველს თავი მოაბეზრა გახლეჩილმა ოპოზიციამ და მათ აღარც ის სურთ რუსეთის წისქვილზე დაასხან წყალი და პრეზიდენტის დამხობაში დაეხმარონ.

როდესაც სააკაშვილი დასავლეთის მიერ იყო აღიარებული, მას დემოკრატის ნიმუშსა და პოსტ-საბჭოთა მხსნელს უწოდებდნენ, ძნელი იყო არ შეგემჩნია მისი აშკარა შეცდომები. ახლა როდესაც სააკაშვილს რეგულარულად აღწერენ, როგორც არამდგრად შეშლილს, საპირისპირო სურვილი გიჩნდება. გინდა ყველას შეახსენო, რომ მიუხედავად ყველა მისი შეცდომისა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გასული წლის ომზე გარკვეულ პასუხისმგებლობასაც ატარებს, ის დღესაც თავისი ქვეყნის მომავლის ენერგიულ, ამაღელვებელ ხედვას გვთავაზობს, რაც ამ რეგიონში ძალიან იშვიათია.

მაგრამ ოპოზიცია აგრესიულად ითხოვს მის გადაყენებას, რაც იმის ვარაუდს აჩენს, რომ ქვეყანამ ამ გზას გადაუხვია. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, როდესაც დანარჩენ რეგიონს დააკვირდები, მისი მიღწევები ცუდად მაინც არ გამოიყურება. ემახსოვრებათ ის ამ მიღწევებისთვის, თუ მხოლოდ დამღუპველი ომისა და დაკარგული ტერიტორიების გამო, ეს ჯერ კიდევ უცნობია.

**შონ ვოლკერი**

THE INDEPENDENT

## დედამიწის ზურგზე



**ინდოეთში ჰაერში ავარდა ასაფეთქებელი ნივთიერების მწარმოებელი ორი ფაბრიკა: დაიღუპა 10 კაცი**

მედხია-პრადეშის შტატში ორ საწარმოში აფეთქება მოხდა თითქმის ერთდროულად. ორივე შენობა დანგრეულია, მაშველები ეძებენ, ხომ არ არიან ნანგრევებში ცოცხალი ადამიანები. 49 კაცი დაიჭრა. ინციდენტის მიზეზები უცნობია.

* * *

**მიწისძვრის შემთხვევაში დიდი რვიანის სამიტს აკვილიდან რომში გადაიტანენ**

ფორუმის გადატანის შესახებ საკითხი წარმოიშვა გასულ კვირას, როდესაც აკვილა კვლავ გახდა გაზრდილი სეისმური აქტივობის ზონა. მიუხედავად ამისა, სამიტს გადაიტანენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ლიდერების შეხვედრის დროს მოხდება სულ ცოტა 4-4,5 ბალის ძალის მიწისძვრები.

* * *

**ბულგარეთის პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვეს მემარჯვენე ცენტრისტებმა**

პარტიამ „მოქალაქეები ბულგარეთის ევროპული განვითარებისათვის“ მოაგროვა ხმების 39,7 პროცენტი. მისი ლიდერი ბოიკო ბორისოვი გახდება ახალი პრემიერ-მინისტრი. რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი სოციალისტები ოპოზიციაში გადადიან, რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკული პროექტები ბულგარეთში შეიძლება შეფერხდეს.

* * *



**ეთნიკური შეტაკებების დროს ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში 140 კაცი დაიღუპა**

800 კაცი დაჭრილია. შეჯახებანი სინძიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში დაიწყო ორი უიგურელის დაღუპვის შემდეგ გუანდუნის ფაბრიკაში. პროტესტის მომხრეები სცემდნენ ქუჩაში გამავალ ხალხს და სწვავდნენ მანქანებს. პროვოკაციებში ხელისუფლება ადანაშაულებს უიგურის მსოფლიო კონგრესს.

* * *

**გერმანიას თავს დაატყდა კოკისპირული წვიმები ელვებითა და სეტყვით. დაიღუპა სამი კაცი**

მიუხედავად კოკისპირული წვიმებისა, რომელთაც თან ახლავთ მსხვილი სეტყვა, ბავარიაში ჭექა-ქუხილის შედეგად ბევრი ხანძარი გაჩნდა. ავტომაგისტრალებზე მოძრაობა შეფერხებულია ტალახის ნაკადების, ზვავებისა და ჩამონაშალების გამო. ზოგიერთი ქუჩა ჩახერგილია ტოტებითა და წაქცეული ხეებით.



მათქმევინეთ!

**პრობლემებს ვინ მოთვლის და რა გამოლევს საქართველოში. სავალალოა, რომ ქვეყანაში, სადაც ჩვენი არსებობისთვის ყველა საჭირო რესურსი უხვად მოიპოვება და ცხოვრობს ნიჭიერი და გამრჯე ხალხი, პრობლემები სულ ახალ და ახალ გადაულახავ ბარიერებად გვევლინება. ანდა, როგორ გინდა გაამხილო, რომ ასეთ ქვეყანაში ხალხი შიმშილობს და სიღატაკეს მოუცავს.**

პრობლემები ძირითადად ორი სახისაა, სტრატეგიული მნიშვნელობის — საერთო სახელმწიფოებრივი, ანუ **გლობალური** და **ყოველდღიური,** მცირე მასშტაბის პრობლემები, მეტწილად საყოფაცხოვრებო ხასიათისა.

# პრობლემათა პრობლემის გადაწყვეტის მოლოდინში

სტრატეგიული, ანუ უმნიშვნელოვანესი პრობლემები გადაუწყვეტლივ წარმოშობენ (ბადებენ) უამრავ ყოველდღიურ სიძნელეებს და ამით კიდევ უფრო ამძიმებენ ადამიანის ცხოვრების პირობებს. ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება შეუპოვრად იბრძვის ხალხის კეთილდღეობისთვის, ცალკეული პრობლემებიც წარმატებით წყდება და მათი რიცხვიც სულ უფრო მცირდება. ჩვენში კი, საპირისპირო პროცესების პირობებში, პრობლემები სულ უფრო მატულობს, **ხელისუფლების მიერ დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად ბევრი მათგანის გადაწყვეტა შეუძლებელიც ხდება.**

რუსეთთან ომის შემდეგ შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო ქვეყანაში თავი იჩინა როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის ახალმა ურთულესმა პრობლემებმა, რომლებმაც სახელმწიფოსთვის სასარგებლო მთელი რიგი პროცესები შეაჩერეს და უარყოფითი გავლენა იქონიეს მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. მათ შორის მთავარია ის, რომ საგრძნობლად შესუსტდა ურთიერთობა მეგობარ ქვეყნებთან, პრობლემების გადაწყვეტაში არ იგრძნობა ისეთი მხარდაჭერა, რასაც ქვეყანა ომამდე გრძნობდა.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ ხელისუფლება ვერ იცლის ქვეყანაში დაგროვილი მძიმე პრობლემების გადასაწყვეტად, რადგანაც იგი უზომოდ არის დაკავებული საკუთარი კაპრიზებით, კერძოდ, იმით, თუ როგორ გადაირჩინოს თავი და შეინარჩუნოს ძალაუფლება. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მთელი ძალისხმევა დღეს ხმარდება მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების შემოტევისგან თავდაცვას. ასეთი ვითარება, ცხადია, ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რომ ქვეყანაში ქაოსი და ანარქია უფრო გაღრმავდეს.

ამდენად, საქართველოში მთელი სიმწვავით დგას დღის წესრიგში სრულიად ახალი პრობლემა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პრობლემათა პრობლემა, ანუ გენერალური პრობლემა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ და უფრო კონკრეტულად გამოვხატოთ მისი არსი, ეს არის პრობლემა **„პრეზიდენტი“**. ამ პრობლემის გადაწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა, პრეზიდენტის და მასზე მიყოლებით მთელი ხელისუფლების წასვლა სამოქმედო ასპარეზიდან. ეს პროცესი ქვეყნის მთელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. სანამ ქვეყანაში იარსებებს ეს ხელისუფლება და არ იქნება გადაწყვეტილი პრობლემათა პრობლემა, სულ უფრო მეტად უნდა მოველოდეთ ახალ-ახალი თავსატეხების გაჩენას, რაც საბოლოოდ ქვეყნის დაღუპვის მომასწავლებელია.



ძალაუნებურად იბადება კითხვა, პრობლემათა პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს თუ არა **ოპოზიციის დიალოგს ხელისუფლებასთან,** ან ყოველგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარეშე არის კი შესაძლებელი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს ეს პრობლემა? როცა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე ხელისუფლებისა და ოპოზიციური ძალების ხედვა სახელმწიფოს მშენებლობის ძირეულ საკითხებში რადიკალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, **დიალოგი გამორიცხულია, იგი არაფრის მომცემი და უშედეგოა**. ეს თვალნათლივ დაადასტურა განვლილმა წლებმაც, როცა დიალოგი ამ ძალებს შორის მიმდინარეობდა საჯარო გამოსვლების, ცალკეული პუბლიკაციების და სატელევიზიო გადაცემების სახით, მაგრამ აბსოლუტურად უშედეგო აღმოჩნდა! ასევე ვერ გაამართლა ვერც ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერების პირისპირ შეხვედრებმა, რომლებიც ამ ბოლო ხანს მოეწყო. ამიტომაც, ძირშივე მცდარია თვალსაზრისი პოლიტიკოსებისა, რომლებსაც ამ კონკრეტულ პირობებში დასაშვებად მიაჩნიათ დიალოგი ხელისუფლებასთან. ეს მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და ხელს უწყობს გაერთიანებული ოპოზიციის ძალთა დაქსაქსვას. იგი ოპოზიციურ ძალთა სწორი გზიდან აცდენისთვის დაგებული ერთგვარი ხაფანგია, რომელმაც ეროვნულ მოძრაობაში შეიძლება შეიტანოს არევ-დარევა და საგრძნობლად შეასუსტოს იგი. საჭიროა უცხოეთიდან შემოგდებული ეს თვალსაზრისი, რომელიც ფორმალიზმის ჩარჩოებშია მოქცეული, უკუვაგდოთ და გაბედულად დავადგეთ სწორ, ეფექტურ გზას, რადგანაც **დიალოგის ტაქტიკა ხელისუფლებას უხანგრძლივებს ბატონობას.**

მხოლოდ პრობლემათა პრობლემის გადაწყვეტის შედეგად, როცა შეიცვლება არსებული ყოვლად უვარგისი ხელისუფლება და მათ ადგილზე მოვლენ ეროვნული ცნობიერების მქონე და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი ახალი, პატრიოტული ძალები, სავსებით შესაძლებელი იქნება ქვეყნისთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვების საფუძველზე ნეიტრალური, თვითმყოფადი სახელმწიფოს შექმნა, რუსეთის მიერ მიტაცებული ჩვენი ძირძველი მიწების დაბრუნება, ქართული ადათ-წესების, უკვდავი ტრადიციების თანმიმდევრული დაცვა და შემდგომი განვითარება, ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გზით დაცვის უზრუნველყოფა, კანონის უზენაესობის პრაქტიკულად განახლება, ქვეყანაში დამკვიდრებული შიმშილისა და სიღატაკის აღმოფხვრა, ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სხვ.

**ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ასეთია დღეს საქართველოს ხელისუფლების მდგომარეობა, რომელსაც ისე აქვს შერყეული პოზიციები, რომ მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. მხოლოდ გამორჩეულ და სამშობლოსთვის თავდადებულ ეროვნულ ძალებს, რომლებსაც ქვეყნის ტკივილი მიაჩნიათ უმძიმეს საკუთარ ტრაგედიად, შეუძლიათ გადაარჩინონ საქართველო და ბედნიერება და სიხარული მოუტანონ ქართველ ხალხს.**

**გრამიტონ კვარაცხელია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

საქმე №3/81

## განჩინება

### საქართველოს სახელით

### საჯარო შეტყობინების შესახებ

**09 ივნისი 2009 წელი** **ქ. ქუთაისი**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ციცინო კიკვაძე**

**მოსარჩელე** — საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
**წარმომადგენელი** — ვახტანგ ჯორბენაძე
**მოპასუხე** — მამუკა ტყაბლაძე
**დავის საგანი** — ჯარიმის და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების შესახებ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 01 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შემოვიდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება მამუკა ტყაბლაძის მიმართ მიყენებული ჯარიმის და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების შესახებ.

სასარჩელო განცხადება და თანდართული დოკუმენტები ვერ ჩაბარდა მოპასუხეს, რადგან იგი არ იმყოფება თავის საცხოვრებელ ადგილზე (მის: ქ. ქუთაისი, ნიკეას №19/97ძ

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის მესამე ნაწილით სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საჯარო შეტყობინების გზით გავრცელდეს, რომ 2009 წლის 2 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შემოვიდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება მამუკა ტყაბლაძის მიმართ ჯარიმის და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების შესახებ.
2. საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან 7 (შვიდ) დღეში სასარჩელო განცხადება და თანდართული მასალები ჩაბარებულად ითვლება.
3. გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნება და გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
4. განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე**
**ციცინო კიკვაძე**

საქმე №3/21

## განჩინება

### საქართველოს სახელით

### საჯარო შეტყობინების შესახებ

**23 ივნისი 2009 წელი** **ქ. ქუთაისი**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ციცინო კიკვაძე**

**მოსარჩელე** — საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
**წარმომადგენელი** — ვახტანგ ჯორბენაძე
**მოპასუხე** — ნანული ესართია
**დავის საგანი** — მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 2 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შემოვიდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება ნანული ესართიას მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

2009 წლის 4 ივნისს და 23 ივნისს დანიშნული იყო სასამართლოს მთავარი სხდომა, მაგრამ სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა მოპასუხეს, რადგან იგი არ იმყოფება თავის საცხოვრებელ ადგილზე (მის: ქ. ქუთაისი, ნიკეას №19/97ძ

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის მესამე ნაწილით სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება, გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ქალაქ ქუთაისში მასობრივად გავრცელებული გაზეთის საშუალებით გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2009 წლის 14 ივლისს 11 საათზე მოსამართლე ციცინო კიკვაძის მიერ განიხილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნანული ესართიას მიმართ მიყენებული ზიანის, ჯარიმის და პირგასამტეხლოს ანაზღაურების შესახებ. საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან 7 (შვიდ) დღეში სასამართლო უწყება, სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ, ითვლება ჩაბარებულად.
2. გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნება და ხარჯები დაეკისროს მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე**
**ციცინო კიკვაძე**

ჭიდაობა

# ევროპა მოილიეს და მსოფლიოსთვის მოემზადებიან



**თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობა, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა ორივე სახეობაში 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თავი ისახელა მინდია წულუკიძემ (50 კგძ რომელმაც ზედიზედ



მინდია წულუკიძე



ვლადიმერ ქარჩავა

სძლია აზერბაიჯანელ ხურშუდ ბაბაშოვს, რუს ალიულა იაფუნაევს, სომეხ სარგის ხაჩატრიანს, ფინალში კი თურქ ტოლგაჰან კარატასს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი ვლადიმერ ქარჩავამაც (96ძ. საგულისხმოა, რომ მან ოთხივე შეხვედრა წმინდად მოიგო – ხალიჩაზე ბეჭებით გააკრა ბერძენი ლეოკრატის კესიდისი, გერმანელი ცოსკუნ ეფე და რუმინელი ფინალისტი ალინ ალექსუსი. დამატებით დრო დასჭირდა ბელარუსი მიკალაი დანილაუს დასამარცხებლად.

მიზნის მისაღწევად ნაბიჯი დააკლდა არჩილ თურმანიძეს, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში დაჯაბნა რუსი ვიშხან კაგერმანოვი, დანიელი ფრედრიკ ბჯერეჰუსი, სომეხი რობერტ ჰოვანესიანი და ფინელი კუსი-პეკა ნიბმისტო, გადამწყვეტი პაექრობა კი აზერბაიჯანელ ჰასან ალიევთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ქემალ ხარაბაძემ (55ძ კი მესამე ადგილი დაიკავა.

თავისუფალ ჭიდაობაშიც ორი ოქროს მედალოსანი გვყავს – გიორგი მაყიშვილი (60) და გიორგი ხუჭუა (66ძ. მაყიშვილი ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია. მან ტიტული შეინარჩუნა. პირველ წრეში ბელარუს ანტონ აფანასიევს სძლია, მის გზას გაუყენა ფინელი ნიკო კეტე-



გიორგი ხუჭუა

ნენი და სომეხი მარეკ სანოიანი, ფინალში კი აზერბაიჯანელი აგაჰუსეინ მუსტაფაევი დაამარცხა.

თანაგუნდელის მაგალითს მიბაძა გიორგი ხუჭუამ. ქართველმა ფალავანმა, თავის არეში მიღებული ტრავმის მიუხედავად, იოლად ჩამოიშორა გზიდან სლოვაკი ივან დუბოლსკი, აზერბაიჯანელი იბრაჰიმ იუსუბოვი, თურქი მუჰამედ დემირი, რუსი გამიდ ძალულოვი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ფინალამდე ყველა წინაღობა წარმატებით დაძლიეს დავით მარსაგიშვილმა (84ძ და გიორგი საკანდელიძემ (120ძ, რომლებმაც ლამაზი ჭიდაობითაც მოხიბლეს გულშემატკივრები. სამწუხაროდ, გადამწყვეტ პაექრობებში ჩვეული შემართება ვერ გამოავლინეს რუსებთან – კოლოი კორტოევთან და ალან ხუგაევთან, რის გამოც დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ. მესამე ადგილებზე ლაშა ლომთაძე (50ძ და დავით ხუციშვილი (74ძ გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა რუსებისა და აზერბაიჯანელების შემდეგ.

ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეროვნულ



გიორგი მაყიშვილი

ნაკრებ გუნდებს „კლასიკურსა" და თავისუფალშიც ღირსეული ცვლა ეზრდება. ახლა ჩვენი ბიჭები ვლადიმერ ადეიშვილისა და ნუგზარ სხირელის ხელმძღვანელობით მსოფლიოს პირველობისთვის მოემზადებიან.

**ვაჟა დანელია**
**ავტორის ფოტო.**

ჩოგბურთი

# ფედერერი ტახტზე დაბრუნდა



**მალე როჯერ ფედერერი მამა უნდა გახდეს. ამ მოვლენას ბაზელის მკვიდრი დიდებული განწყობილებით ხვდება. ამას წინათ მან კარიერაში პირველად მოიგო „როლან გაროსი", ხოლო გუშინწინ მეექვსედ გახდა „უიმბლდონის" ტრიუმფატორი, რამაც, რაც მთავარია, მსოფლიოს პირველი ჩოგნობა დაუბრუნა.**

ეს შვეიცარიელის მეთხუთმეტე „დიდი შლემი" გახლავთ, რაც სპორტის ამ ელიტური სახეობის ისტორიაში სარეკორდოა – მანამდე თოთხმეტი ტიტულით ლეგენდარული ამერიკელი პიტ სამპრასი ლიდერობდა. თუმცა, ეს უკანასკნელი ინარჩუნებს პირველობას ლონდონის გარეუბანში მოპოვებული მთავარი პრიზის რაოდენობით – მან სრულიად ინგლისის ჩოგბურთისა და კრიკეტის კლუბის ცენტრალურ კორტზე შვიდჯერ დაჯაბნა ყველა.

ადვილი შესაძლებელია, ასეთი შესავალი არ დაგვჭირვებოდა, ენდი როდიკს ლოგიკურად რომ დაესრულებინა მშვენივრად დაწყებული საქმე და მესამე ფინალში მაინც გაეტეხა ნავსი – შეგახსენებთ, რომ მან გადამწყვეტი შეხვედრა გუშინწინდელ მეტოქესთან მანამდე ორჯერ წააგო.

ამჯერად ამერიკელმა პირველი პარტია 7:5 მოიგო და მეორე სეტის ტაი-ბრეიქში 6:2 დაწინაურდა, თანაც ბურთს თვითონ აწოდებდა. იმას, რაც ამის შემდეგ მოხდა, ძნელია ახსნა მოუძებნო – მოახლოებულმა ტრიუმფმა ოკეანისგაღმელზე დამთრგუნველი გავლენა იქონია. მან ზედიზედ 6 (!ძ გათამაშება დათმო – 6:7 (1:1ძ

აქედან მოყოლებული, მოწინააღმდეგეებმა თითო ჩხვლეტა მიაყენეს ერთმანეთს – 7:6, 3:6 და...

სწორედ ამ დროს დაიწყო ნერვების ომი – დასკვნითი პარტია, რომელიც მარათონად გადაიქცა და ფედერერის ურთულესი გამარჯვებით დამთავრდა – 16:14 (!ძ. ეს ღირსეულთა შერკინების მართლაც რომ ღირსეული აპოთეოზი გახლდათ.

საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები ქალთა ტურნირის ოჯახურ ფინალში, სადაც სერენა უილიამსმა ბღვინი ადინა უფროს დას – ვინუსს – 7:6, 6:2.

**გიორგი შოთაძე**

აი, პრეზიდენტი!

# კიმ ჩენ ირი – ფეხბურთის მწვრთნელი

**ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების გასვლა ქვეყნის ლიდერის კიმ ჩენ ირის დამსახურებაა. მან გუნდს მისცა მთელი რიგი ძვირფასი რეკომენდაცია თამაშის ტაქტიკასთან დაკავშირებით.**



გამოცემა „ჩოსონ სინბოს" მოაქვს, კერძოდ, კორეის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის კიმ ჩჟონ სუს სიტყვები, რომ კიმ ჩენ ირი პირადად ხელმძღვანელობდა სათამაშო პროცესს შარშან აპრილში.

„დიდმა მხედართმთავარმა მოგვცა ზუსტი მითითებანი კორეული ფეხბურთის განვითარების გზაზე, – ამბობს ფეხბურთის თავკაცი, – მან შემოგვთავაზა თამაშის ტაქტიკა, რაც ოპტიმალურად მიესადაგება კორეელთა ფიზიოლოგიურ თავისებურებებს".

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კიმ ჩჟონ სუნმა თავისი გუნდის წარმატება ახსნა „განსაკუთრებული ძალით" და შეკავშირებით.

„ალბათ მსოფლიოში არ იქნება მეორე გუნდი, რომლის მოთამაშეები იბრძოლებდნენ ასე თავგანწირულად, რათა გაეხარებინათ ლიდერი გამარჯვების ცნობით და ესახელებინათ თავიანთი ქვეყანა, – თქვა მთავარმა მწვრთნელმა.

აქამდე მსოფლიო ჩემპიონატში კორეის ნაკრები მონაწილეობდა მხოლოდ ერთხელ – 1966 წელს. მაშინ ჩრდილოკორეულმა გუნდმა სენსაცია მოახდინა – გავიდა მეოთხედფინალში.

ინტერნეტიდან

## ჰალეპმა მკერდი გასწირა



**ალბათ გახსოვთ, ამას წინათ ვწერდით, რომ რუმინელ ჩოგბურთელ სიმონა ჰალეპს დიდებული მკერდი უშლის ხელს კარგ თამაშში ო.** სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ ლამაზმანი ჩოგბურთელი აპირებს მკერდის დასაპატარავებლად ოპერაციის გაკეთებასო. ამ ამბავმა მისი თაყვანისმცემელ-გულშემატკივრების დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. მამაკაცებმა ამის საწინააღმდეგოდ ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს – სიმონა გონს მოეგებაო.

მაგრამ, აი, ცნობილი გახდა, რომ სიმონა ჰალეპმა „გააუბედურა" თავისი თაყვანისმცემლების უზარმაზარი არმია – მკერდი დაიპატარავა.

## მარეიმ კეტი „დაალალატა"

**ივნისის მეორე ნახევარში მთელი ნისლიანი ალბიონი „დაავადებული" იყო ჩოგბურთით, თვით ელისაბედ მეორეც კი აპირებდა უიმბლდონზე მისვლას, თუკი ფინალში ენდი მარეი გავიდოდა.**

ამ ცდუნებას ვერ გაუძლო ცნობილმა მოდელმა კეტი გრინმა, რომელიც მონაწილეობდა ფოტოსესიაში ჩოგბურთის ატრიბუტიკის ფონზე, ეს ყველაფერი კი ენდი მარეის გულისთვის გააკეთა, რომელიც ნახევარფინალში გავიდა. ლამაზმანმა კეტიმ პირობა დადო, რომ მთელ თავის მოხიბლველ ნაკვთებს გამოაჩენდა, თუკი მარეი ამ ტურნირში გაიმარჯვებდა. „თუკი ენდი ამ ფოტოსურათებს ნახავს, უფრო მეტი სტიმული მიეცემა გამარჯვებისთვის, ვფიქრობ, რომ ჩოგბურთის ტანსაცმელი ძალზე სექსუალურია".



თუმცა, ბრიტანელების სამწუხაროდ, მათმა კერპმა ფინალში ვერ გააღწია და მთლად გაშიშვლებული კეტიც ვერ იხილეს.


# განცხადება

**სს „ელმავალმშენებლის" აქციონერებს გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" 54.1 პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის" წესდების 18.5 პუნქტის შესაბამისად ო. გ. ზირიანოვმა, სს „ელმავალმშენებლის" 87 პროცენტი აქციის მფლობელი შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია „DEMA COMPUTERS LIMITED"-ის დირექტორმა, განიხილა შემდეგი საკითხები:**

3. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

4. „სამეთვალყურეო საბჭოს ზოგიერთი წევრისთვის შრომითი ანაზღაურების დადგენის შესახებ".

და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

**პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 19 კაცით. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნან: ალექსანდროვი ვიქტორი ივანეს ძე; ალექსეევი ევგენი ალექსანდრეს ძე; ბოროვიკოვი სტანისლავი სერგეის ძე; ბოიარსკიხი მაკსიმე გენადის ძე; ვასილევი ანდრეი ვიქტორის ძე; გლაზირინი დიმიტრი სერგეის ძე; ეპიფანოვი ვლადიმერი მიხეილის ძე; ივანოვა ანა მიხეილის ასული; ნაუმოვა მარინა ვასილის ასული; პანოვა ევგენია ანატოლის ასული; ხეილო სერგეი ბორისის ძე; ჩუიკო ტატიანა ვალენტინას ასული.

**მეორე საკითხთან დაკავშირებით:**

დადგინდეს სამეთვალყურეო საბჭოს ზოგიერთი წევრებისათვის შრომის ანაზღაურება შემდეგი სახით:

სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გ. ს. ბოიარსკიხი და ე. ნ. ალექსანდროვა: თითოეულ მათგანს თანამდებობრივი სარგო 1430,00 (ათას ოთხას ოცდაათიძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 2 170,00 (ორი ათას ას სამოცდაათიძ ლარის ოდენობით.

სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: ალფეი კონსტანტინეს ძე ტეპიშევი; ალექსანდროვი ვიქტორი ივანეს ძე; ალექსეევი ევგენი ალექსანდრეს ძე; ბოროვიკოვი სტანისლავი სერგეის ძე; ბოიარსკიხი მაკსიმე გენადის ძე; ვასილევი ანდრეი ვიქტორის ძე; გლაზირინი დიმიტრი სერგეის ძე; ეპიფანოვი ვლადიმერი მიხეილის ძე; ივანოვა ანა მიხეილის ასული; ნაუმოვა მარინა ვასილის ასული; პანოვა ევგენია ანატოლის ასული; ხეილო სერგეი ბორისის ძე; ჩუიკო ტატიანა ვალენტინას ასული – თითოეულს თანამდებობრივი სარგო 1 300,000 (ათას სამასიძ ლარი და მოტივაციის სახით დანამატი 1 700,00 (ათას შვიდასიძ ლარის ოდენობით.

**სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭო**

საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო“

# ბრძანება

№1-3/268 5 ივნისი 2009 წ.

შპს „აღმოსავლეთის წყალთან“, შპს „გორის სოფლის წყალსადენების სამმართველოს“, შპს „კასპის რაიონის წყალკანალის“, შპს „მერწყულის“, შპს „ქარელის წყალკანალის“, შპს „დაბა აგარის წყალკანალის“, შპს „თეძამი-2000“-ის, შპს „ხაშურწყალის“, შპს „ხაშურკანალის“, შპს „სურამის წყალკანალის“, შპს „წყალკანალის“ (ახალციხეძ, შპს „ადიგენის წყალმომარაგება-კანალიზაცია „ჰიგიენას“, შპს „წყალსადენ კანალიზაციისა და კომუნალური მომსახურების ერთიანი სპეციალიზირებული სამსახურის“ (ასპინძაძ, შპს „აბლარი-ახალქალაქი-წყალკანალის“, შპს „ახალქალაქის სოფლის წყალმომარაგების“, შპს „ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაციის“, შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველოს“ (ნინოწმინდაძ, შპს „დუშეთის კომუნალური სამსახურის“, შპს „ნაკადულის“ (მცხეთაძ, სს „თელავწყალკანალის“, შპს „სოფლის წყალსადენის საექსპლოატაციო სამმართველოს“, შპს „ყვარელწყალკანალის“, შპს „წყალკანალის“ (გურჯაანიძ, შპს „ლაგოდეხის რაიონის წყალკანალის“, შპს „სიღნაღის რაიონის კომუნალური გაერთიანების“, შპს „ქალაქწყალკანალის“ (დედოფლისწყაროძ, შპს „ძედების წყალკანალის“, შპს „დედოფლისწყაროს წყალკანალის“, შპს „საგარეჯოს რ-ნის კომუნალური მეურნეობისა და წყალკანალიზაციის საწარმოს“, შპს „ბოლნისწყალკანალის“, შპს „სართიჭალის წყალსადენის“, შპს „წყალკანალის“ (დმანისიძ, შპს „თეთრიწყაროს წყალკანალის“, შპს „მარნეულწყალის“ შერწყმის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 22.06.06 წ. №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დებულების, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 აპრილის №192 ბრძანებულების, წყალმომარაგებისა და ენერგეტიკის საკითხთა სახელმწიფო კომისიის 2009 წლის 1 აპრილის სხდომის №1 ოქმის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 04.06.09 წ. №15/522/7-9 წერილისა და შპს „აღმოსავლეთის წყალის“ 03.06.09 წ. №61 წერილის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. შპს „აღმოსავლეთის წყალს“ შეერწყას (მიუერთდესძ შპს „გორის სოფლის წყალსადენების სამმართველო“, შპს „კასპის რაიონის წყალკანალი“, შპს „მერწყული“, შპს „ქარელის წყალკანალი“, შპს „დაბა აგარის წყალკანალი“, შპს „თეძამი-2000“, შპს „ხაშურწყალი“, შპს „ხაშურკანალი“, შპს „სურამის წყალკანალი“, შპს „წყალკანალი“ (ახალციხეძ, შპს „ადიგენის წყალმომარაგება-კანალიზაცია „ჰიგიენა“, შპს „წყალსადენ კანალიზაციისა და კომუნალური მომსახურების ერთიანი სპეციალიზირებული სამსახური“ (ასპინძაძ, შპს „აბლარი-ახალქალაქი-წყალკანალი“, შპს „ახალქალაქის სოფლის წყალმომარაგება“, შპს „ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაცია“, შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველო“ (ნინოწმინდაძ, შპს „დუშეთის კომუნალური სამსახური“, შპს „ნაკადული“ (მცხეთაძ, სს „თელავწყალკანალი“, შპს „სოფლის წყალსადენის საექსპლოატაციო სამმართველო“, შპს „ყვარელწყალკანალი“, შპს „წყალკანალი“ (გურჯაანიძ, შპს „ლაგოდეხის რაიონის წყალკანალი“, შპს „სიღნაღის რაიონის კომუნალური გაერთიანება“, შპს „ქალაქწყალკანალი“ (დედოფლისწყაროძ, შპს „ძედების წყალკანალი“, შპს „დედოფლისწყაროს წყალკანალი“, შპს „საგარეჯოს რ-ნის კომუნალური მეურნეობისა და წყალკანალიზაციის საწარმო“, შპს „ბოლნისწყალკანალი“, შპს „სართიჭალის წყალსადენი“, შპს „წყალკანალი“ (დმანისიძ, შპს „თეთრიწყაროს წყალკანალი“, შპს „მარნეულწყალი“.

2. შპს „აღმოსავლეთის წყალის“ დირექტორის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (ხელფასიძ განისაზღვროს 2 500 (ორიათას ხუთასიძ ლარის ოდენობით, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით.

3. დაევალოს შპს „აღმოსავლეთის წყალის“ დირექტორს (ლ. წითელაშვილიძ უზრუნველყოს:

აძ ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული საზოგადოებების შპს „აღმოსავლეთის წყალთან“ შერწყმა „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით;

ბძ შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და სათანადო დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დარგობრივი ეკონომიკის ჯგუფს.

**თავმჯდომარე ივანე ბერაძე**

---

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“

# ბრძანება

№ 1-3/288 16 ივნისი, 2009 წ.

## სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 5 ივნისის №1-3/268 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**„მეწარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 22.06.06 წ. №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დებულების საფუძველზე**

**ვბრძანებ:**

1. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2009 წლის 5 ივნისის №1-3/268 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

— შპს „აღმოსავლეთის წყალი“ წარმოადგენს შპს „გორის სოფლის წყალსადენების სამმართველოს“, შპს „კასპის რაიონის წყალკანალის“, შპს „მერწყულის“, შპს „ქარელის წყალკანალის“, შპს „დაბა აგარის წყალკანალის“, შპს „თეძამი-2000“-ის, შპს „ხაშურწყალის, შპს „ხაშურკანალის“, შპს „სურამის წყალკანალის“, შპს „წყალკანალის“ (ახალციხეძ, შპს ადიგენის წყალმომარაგება-კანალიზაცია „ჰიგიენას“, შპს „წყალსადენ კანალიზაციისა და კომუნალური მომსახურების ერთიანი სპეციალიზირებული სამსახურის (ასპინძაძ, შპს „აბლარი-ახალქალაქი-წყალკანალის“, შპს „ახალქალაქის სოფლის წყალმომარაგების“, შპს „ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაციის“, შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველოს“ (ნინოწმინდაძ, შპს „დუშეთის კომუნალური სამსახურის“, შპს „ნაკადულის“ (მცხეთაძ, სს „თელავწყალკანალის“, შპს „სოფლის წყალსადენის საექსპლოატაციო სამმართველოს“, შპს „ყვარელწკალკანალის“, შპს „წყალკანალის“ (გურჯაანიძ, შპს „ლაგოდეხის რაიონის წყალკანალის“, შპს „სიღნაღის რაიონის კომუნალური გაერთიანების“, შპს „ქალაქწყალკანალის“ (დედოფლისწყაროძ, შპს „ძედების წყალკანალის“, შპს „დედოფლისწყაროს წყალკანალის“, შპს „საგარეჯოს რ-ნის კომუნალური მეურნეობისა და წყალკანალიზაციის საწარმოს“, შპს „ბოლნისწყალკანალის“, შპს „სართიჭალის წყალსადენის“, შპს „წყალკანალის“ (დმანისიძ, შპს „თეთრიწყაროს წყალკანალის“, შპს „მარნეულწყალის“ სამართალმემკვიდრეს.

2. დაევალოს შპს „აღმოსავლეთის წყალის“ დირექტორს (ლ. წითელაშვილიძ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ცვლილების რეგისტრაცია სამეწარმეო და საჯარო რეესტრებში და შესაბამისი დოკუმენტაციის სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოში“ წარმოდგენა;

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დარგობრივი ეკონომიკის ჯგუფს.

**თავმჯდომარე ივანე ბერაძე**

---

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი გულითადად თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს ნაზი იმნაიშვილს მეუღლის

თამაზ ყაჯრიშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს „ნიუ ჰოსპიტალსის“ ოფთალმოლოგიური სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ოფთალმოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელს სამედიცინო დარგში ბატონ გიორგი (გიაძ ჩიქოვანს გარდაეცვალა მეუღლე

რუსუდან იზაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ხსოვნა

# ჯემალ მოსიძე



გარდაიცვალა ჯემალ მოსიძე — კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და ბრწყინვალე მეოჯახე.

ჯემალ მოსიძე დაიბადა 1937 წლის 20 დეკემბერს, აბაშის რ-ნის სოფ. ნაესაკაოში.

ქ. თბილისში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1961 წელს კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით და დაიწყო შრომითი საქმიანობა საკონსერვო მრეწველობის სისტემაში, სადაც გაიარა გზა ცვლის ტექნოლოგიდან წარმოების დირექტორის თანამდებობამდე. მუშაობის პერიოდში მან დაიმსახურა სისტემის თანამშრომელთა დიდი სიყვარული და სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით. გარკვეულ პერიოდში მუშაობდა საშენი მასალების სისტემაში ხელმძღვანელ პოსტებზე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში გარდაცვალებამდე ბ-ნი ჯემალი მუშაობდა შპს „ოშკი“-სა და „თბილისის მაკარონის ფაბრიკის“ დირექტორის თანამდებობაზე, სადაც ჩვეული ენერგიით, პროფესიონალიზმით, გამოცდილებით და შემართებით დაიმსახურა კოლექტივის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

იგი იყო მოსიყვარულე და მოამაგე მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

შპს „ოშკის“ კოლექტივი

# იური ჭანტურია



ღრმა გულისტკივილით ვიუწყებით, რომ ქ. სარატოვში, დევნილობაში 69 წლისა გარდაიცვალა შესანიშნავი აფხაზელი, საზოგადო მოღვაწე, ერთგული მეგობარი და გულმხურვალე პატრიორტი იური ჭანტურია.

ყველას, ვინც მას იცნობდა და მასთან ერთად უმოღვაწია, სამუდამოდ დაამახსოვრდება მისი დამოკიდებულება საქმისადმი, პრინციპულობა და დიდი იუმორი. მისთვის გუდაუთაში დაბადებულ და გაზრდილი კაცისთვის, აფხაზეთის ომით გამოწვეული ტრაგედია განუსაზღვრელი ტკივილი იყო და მისმა კეთილმა გულმა ამ ტკივილს ვერ გაუძლო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ნათესავებისა და მეგობრების სახელით
ვალერი ჩოლარია, ნოდარ ჩოლარია, შალვა წულეისკირი, მურად ანჯაფარიძე

---

მეუღლე ნათელა პაიკიძე, შვილი ანანო მოსიძე, სიძეები გუგა ჭავჭანიძე, ზვიად სიხარულიძე, შვილიშვილები ნიკოლოზ და მაშო სიხარულიძეები, კატო ჭავჭანიძე, შვილთაშვილი სანდრო სიხარულიძე, ძმა გოგი მოსიძე, რძლები ნუნუ სიორდია, დალი ქავთარაძე, მარინა ნადირაძე, ძეთი ყიფიანი, ძმისწულები დავით, თემურ, თათია მოსიძეები, მძახლები იური ოსიპოვი და რუსიკო ჭავჭანიძე, ციალა შიხაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ დავითის ძე მოსიძე

პანაშვიდი 7, 8 VII, 17 სთ. მისამართი ატენის ქ№ 1, II სადარბაზო, გამოსვენება 9 VII, 15 სთ. ვერის სასაფლაოს წმიდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიიდან, სადაც პანაშვიდი გაიმართება იმავე დღეს 13 სთ-დან.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქ. სარატოვში გარდაიცვალა აფხაზეთში სპორტის განვითარების დიდი ქომაგი და ახალგაზრდების აღმზრდელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ხელმძღვანელი მუშაკი

იური ჭანტურია

---

მული ოლია, მაზლები გელა, თამაზ, რძლები ეთერ, ნანა, მაზლიშვილები გოჩა, ძეთი, გიორგი მეგრელიძეები იუწყებიან

მერი მირცხულავას

გარდაცვალებას.

---

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული პედაგოგის

მედეა (ლალიაძ კალანდარიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს ქალაქ სოხუმის ყოფილ სამხედრო კომისარს, თადარიგის პოლკოვნიკს რაულ ფანცულაიას და მის ოჯახს შვილის

ზურაბ ფანცულაიას

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციების ქსელი — ფოპტნეტის“ თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ მცხეთის უბნის მენეჯერის

ვახტანგ ნიკოლოზის ძე კეჩხუაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს. პანაშვიდი 7, 8 VII, დაკრძალვა 9 VII, (გამოსვენება 13 სთ. სვეტიცხოვლის ტაძრიდან 14 სთ). მისამართი: ქ. მცხეთა, მამულაშვილის №3.

---

„T&T“ ჯგუფის პრეზიდენტი ფრიდონ ინჯია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელის — ფოპტნეტის“ მცხეთის უბნის მენეჯერის

ვახტანგ ნიკოლოზის ძე კეჩხუაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ლიტერატურა

# მათ „საბა“ დაიმსახურეს

**უკვე ტრადიციულად იქცა „თიბისი ბანკის“ თაოსნობით ლიტერატურული პრემიით „საბა“ წინა წელიწადში გამოცემული წიგნების ავტორების დაჯილდოება. ლიტერატურულ წრეებშიც და მკითხველებშიც უკვე პოპულარული და პრესტიჟული ამ პრემიით დაჯილდოება წლეულს მეშვიდედ გაიმართა. „საბასთვის“ ბრძოლა არა მხოლოდ წიგნთა ავტორების, არამედ გამომცემლობების თავისებური პაექრობაცაა. საგამომცემლო სახლებმა ამჯერად 170 წიგნი წარადგინეს, საიდანაც „გასაიდუმლოებულმა“ ჟიურიმ 50 წიგნი შეარჩია ფინალში მონაწილეობისთვის.**



„თიბისი ბანკში“ გამართულ ცერემონიალზე კი ნომინაციებში გამარჯვებულნი დააჯილდოვეს.

ნომინაციაში „**წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ავტორი**“ გაიმარჯვა **გიგი სულაკაურმა** „თამაში რევოლვერით“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

ნომინაციაში, „**წლის საუკეთესო პოეტური კრებული**“ პრიზი მოიპოვა **ბათუ დანელიამ** „მოსაზილის ვიტა“ („ინოვაცია“).

„**წლის საუკეთესო პიესად**“ – **ლაშა ბუღაძის** „ნაფტალინი“ („წიგნის სახელოსნო“) მიიჩნიეს.

„**წლის საუკეთესო თარგმანი**“ კი ეკუთვნის **გიორგი ეკიზაშვილს** – მოლიერის „დონ ჟუანი“ („აგორა“).

**ლევან ბრეგაძის** „მოთხრობებმა ლიტერატურაზე“ გაიმარჯვა ნომინაციაში „**წლის საუკეთესო კრიტიკა, ესთეტიკა და დოკუმენტური პროზა**“.

ნომინაციაში „წლის საუკეთესო დებიუტი“ ანონიმურმა ჟიურიმ გამონაკლისი დაუშვა და პრიზი ორ წიგნს მიანიჭა – **დიანა ანფიმიადის** „შოკოლადს“ და **გიორგი კეკელიძის** „ოდებს“ („სიესტა“).

მისასალმებელია, რომ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდოვდება რომელიმე ქართველი მოღვაწე – მწერალი. თუმცა **ჭაბუა ამირეჯიბისთვის** „უცხო ხილი“ არ არის როგორც მშობლიური – ქართული პრემიები და პრიზები, ისე უცხოური ჯილდოები. მაგრამ ალბათ, ბატონი ჭაბუა სიამოვნებით მიიღებს ახალ ქართულ ჯილდოსაც – „საბას“.

აღსანიშნავია, რომ „საბას“ ლაურეატებმა შესაბამის დიპლომებთან და პრიზებთან ერთად ფულადი ჯილდოებიც მიიღეს. საპრიზო ფონდი კი 36 ათას ლარს შეადგენდა.

უნდა ითქვას, რომ პრემია „საბა“ კარგი სტიმულია პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგების, კრიტიკოსების, მთარგმნელებისთვის, აგრეთვე გამომცემლობებისთვის. ყოველი მათგანი გრძნობს, რომ მათ შემოქმედებითი შრომა ყურადღებას იქცევს და სათანადოდაც ფასდება. ამიტომაც მომავალში ბევრ უკეთეს ნაწარმოებსა და წიგნს უნდა ველოდოთ. ცხოვრება ხომ წინ მიდის!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელ: 99-62-77.

დაიჯესტი

## თუ იცოდით ამის შესახებ?

# დღეში 22 წუთი სარკის წინ



**ქალები ყველაზე ბედნიერად თავს 30 წლამდე გრძნობენ, ადასტურებენ მკვლევარები.**

როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, სწორედ ამ პერიოდში ქალების უმრავლესობა თავს თავისუფლად გრძნობს სამუშაოზეც და საკუთარ თავშიც, აგრეთვე ღებულობს ყველაზე მეტ კმაყოფილებას სექსისგან. მაგრამ ბედნიერება ხანგრძლივი როდია და უკვე 30 წლის ასაკში მას აშფოთებს ნაოჭებისა და ჭაღარის გაჩენა.

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 25-დან 65 წლამდე ასაკის 4 ათასამდე ქალმა. გამოკითხვა ეხებოდა 12 საკვანძო კრიტერიუმს. მაგალითად, მიღებული მონაცემების თანახმად, ყველაზე წარმატებულად კარიერაში ქალები თავს კარგად გრძნობენ 29 წლის ასაკში, პიროვნული ურთიერთობანი უწესრიგდებათ 30 წლის ასაკში, საუკეთესო სექსი კი, ქალბატონების აღიარებით, არის 28 წლის ასაკში. სხვათა შორის, 30 წლის შემდეგაც ყველაფერი როდია დაკარგული: ოჯახური ყოფის წარმატებები მიიღწევა 32 წლის ასაკში, ყველაზე წარმატებულ საფინანსო სტაბილურობას ქალბატონები განიცდიან 33 წლის ასაკში. გამოკვლევის დროს აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ქალთა ორი მესამედი მიიჩნევს: ბერდებიან მამაკაცებზე ადრე, 56 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ძალიან განიცდიან დაკარგული სილამაზის გამო.

მიმზიდველობის შესანარჩუნებლად ქალები არ ზოგავენ საშუალებებს. საშუალოდ, ექსპერტების აზრით, ისინი ყოველწლიურად ხარჯავენ 600 გირვანქა სტერლინგს თავის მოსავლელად – 49 გირვანქა სტერლინგს თვეში. მაკიაჟის გაკეთება ქალებს ართმევს 5 დღემდე წელიწადში – საშუალოდ 22 წუთს ყოველდღე.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# მითხარი დაბადების თარიღი და... მერე მე ვიცი!

**მას შემდეგ, რაც 1582 წელს რომის პაპმა გრიგოლ XIII ახალი წელთაღრიცხვა შემოიღო, მთელი მსოფლიო ერთიან გრიგორიანულ კალენდარს იყენებს, მაგრამ აზიის მრავალ ქვეყანაში დროის აღრიცხვის გაცილებით ძველი ხერხებია შემორჩენილი.**



მათ რიცხვს ტრადიციული იაპონური კალენდარიც განეკუთვნება, რომელიც დასაბამს იაპონიის მითიური დამაარსებლის იმპერატორ ძიმუს დროიდან იღებს. ლეგენდით, ეს ამბავი ჩ.წ.ა 660 წელს მოხდა, ხოლო ამ კალენდარის მიხედვით კი იაპონიაში 2663 წელია. ცხადია, რომ იაპონელები, სამხრეთ-აღმოსავლეთის ყველა სხვა ქვეყანასთან ერთად, ჩინეთიდან ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში მოსულ ბუდიზმთან ერთად, 60-წლიანი ციკლების სისტემით სარგებლობენ.

წლების აღსანიშნავად, ამ სისტემაში ორი კომპონენტის კომბინაციას იყენებენ: პირველია ციკლური ნიშანი, ხოლო მეორე – ბუდისტური ზოდიაქოს ნიშანი. ციკლური ნიშანი ათია და მათ „ზეცის ღეროებს“ უწოდებენ. ზოდიაქოს ნიშანი კი თორმეტია და მათ „დედამიწის ტოტები“ ქვია. ღეროების დასახელებისთვის ძველი ჩინური ნატურალისტური ფილოსოფიის ხუთ ელემენტს იყენებენ. **ესენია ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი. ყველა ელემენტი ორი იპოსტასით – უფროსით და უმცროსით – არსებობს და ერთი წლის გამოტოვებით იცვლებიან. ღეროები ორ წელიწადში ერთხელ იცვლებიან – ვთქვათ, ორი წელი ხეა, ორი – წყალი და ა.შ.**

ბუდისტურ ზოდიაქოში შედის თორმეტი ცხოველი: **ვირთაგვა, კურო, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ვერძი, მაიმუნი, ქათამი, ძაღლი და ტახი.** ლეგენდით, ზოდიაქოს ნიშნების რიგითობა მომაკვდავი ბუდის სარეცელთან გამოცხადებულ ცხოველთა რიგითობის შესაბამისია.

**ყოველი 60-წლიანი ციკლის დასაწყისია ის წელი, როცა თანხვდებიან პირველი ღერო და პირველი ტოტი.** ტრადიციის მიხედვით, ეს ყოველთვის ვირთაგვის წელია და ასეთი რამ 60 წელიწადში ერთხელ ხდება.

თავის მხრივ, ყოველ ღეროს, მთელი რიგი ნიშანი და სიმბოლო აქვს. კერძოდ:

**ხეს** – მწვანე და ლურჯი ფერები აქვს, მისი პლანეტაა იუპიტერი, ახასიათებს ქარი, განრისხება და კაცთმოყვარეობა.

**ცეცხლს** – წითელი ფერი აქვს, მისი პლანეტაა მარსი, ახასიათებს სითბო, მოწყენა და ღირსეულობა.

**დედამიწას** – ყვითელი ფერი აქვს, მისი პლანეტაა სატურნი, ახასიათებს წვიმა, გულღიაობა.

**ლითონს** – თეთრი ფერი აქვს, მისი პლანეტაა ვენერა, ახასიათებს სინათლე, სიხარული და სამართლიანობა.

**წყალს** – შავი ფერი აქვს, მისი პლანეტაა მერკური, ახასიათებს სიცივე, შიში და სიბრძნე.

მიიჩნევენ, რომ ხასიათის მთელი ეს კომპლექსები ამა თუ იმ წელს დაბადებულ ადამიანებს გადაეცემათ. შეგახსენებთ, რომ ახალი 60-წლიანი ციკლი შარშან, 2008 წელს დაიწყო, ამდენად საკუთარი ხასიათის უკეთ შეცნობას, მარტივი გამოანგარიშებით შეძლებთ.

უცხოური პრესის მიხედვით

კადრი



ანეკდოტები

– ჩვენი პარტია სულ იზრდება და იზრდება!
– მომილოცავს! რა ჰქვია თქვენს პარტიას?
– ღეპ! ღარიბების ერთიანი პარტია!

* * *

ექიმი:
– ამიერიდან ცოტა უნდა დალიოთ!
– ექიმო, მე ხომ საერთოდ არ ვსვამ?
– დიახ, უფრო ცოტაა საჭირო!

* * *

ზარი კარზე. გააღეს. ვიღაც უცნობია:
– თქვენთან გასდის ონკანს?
– არა...



– წყალობაძეები აქ ცხოვრობენ?
– არა, ისინი სამი თვის წინათ გადავიდნენ.
– აი, ხალხი! სანტექნიკოსს იძახებენ, თვითონ კი სადღაც გადადიან.

* * *

თქვენ თუ იმედი გაქვთ, ეს როდი ნიშნავს, რომ თქვენ შანსიც გაქვთ.

* * *

პატრული აჩერებს მანქანას:
– თქვენი საბუთები, სერ!
მძღოლი გაოცებულია:
– რატომ მაინცდამაინც – სერ?
– იმიტომ, რომ გზის მარცხენა მხარეს მიდიხართ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.